აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№67 (25.091) სამშაბათი, 27 - 28 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდამთიან რაიონებში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს კანონების პროექტები - „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განიხილა მთავრობამ გუშინ გამართულ სხდომაზე. მთავრობის ადმინისტრაციის განმარტებით, ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფო ინოვაციური ფარმაცევტული პროდუქტების შეძენას სპეციალური პირობებით, მწარმოებელთან ან სავაჭრო ლიცენზიის მფლობელთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით შეძლებს.

* * *

საქმე გვაქვს ჰიბრიდული ომის ტაქტიკების გამოყენებასთან საქართველოს წინააღმდეგ, - ასე შეაფასა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ოპოზიციის რეაქცია რუსეთში მომხდარ შიდა დაპირისპირებასთან დაკავშირებით. შალვა პაპუაშვილის თქმით, ადგილი ჰქონდა პანიკის შექმნის მცდელობას. „ქართველმა ხალხმა დიდ ხანია გაშიფრა ის, რომ ეს არის ერთად შეკრული კასტა ოპოზიციის, რამდენიმე NGO-სი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ ზუსტად ამ ტაქტიკით მოქმედებს და ამის პასუხი იყო შემდეგ დაანონსებულ აქციაზე მისული 10 ადამიანი. აი, ეს არის რეალობა“, - დასძინა მან.

* * *

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილის განცხადებით, ანაკლიის პორტთან დაკავშირებით განაცხადების მიღება დასრულებულია და იმ კომპანიების შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც პორტის აშენების ინტერესი გამოხატეს, საზოგადოებას უახლოეს ხანებში წარედგინება. „არის ინდივიდუალურად კომპანიები და არის კომპანიათა გაერთიანებები და კონსორციუმები. კომპანიების მიმართ გარკვეული შესაბამისობის კრიტერიუმები იყო მოთხოვნილი, მათ შორის ფინანსური მდგრადობის და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია“, - აღნიშნა მინისტრმა.

* * *

დღეს ორ გამოცდილ პროფესიონალს უარი უთხრეს, რადგან ისინი არ წარმოადგენენ „ქართული ოცნების“ კლანს, - ასე გამოეხმაურა ოპოზიციონერი დეპუტატი რომან გოცირიძე საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების გაერთიანებულ კომიტეტების სხდომაზე ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის კანდიდატების ჩაგდებას, რომლებიც პრეზიდენტმა წარადგინა. როგორც გოცირიძე აღნიშნავს, ეროვნული ბანკის საბჭომ პირველი ვიცე-პრეზიდენტი საბჭოს წევრებზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად აირჩია.

მოამზადა
ია შველიძემ

საქართველო მსოფლიო გამჭვირვალობის რეიტინგში უსწრებს ევროკავშირის წევრ 15 და დიდი შვიდეულის წევრ 4 სახელმწიფოს

ევროპის ანტიკორუფციული კვლევების ცენტრმა (ევროპის ანტიკორუფციული და სახელმწიფო აღმშენებლობის კვლევის ცენტრი) გლობალური გამჭვირვალობის 2023 წლის ანგარიში - „გამჭვირვალობა ომის დროს“ - გამოაქვეყნა

2023 წლის გამჭვირვალობის ინდექსის მიხედვით საქართველო 54-ე ადგილიდან მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში, მე-17 ადგილზე დაწინაურდა.

საქართველო მსოფლიოს გამჭვირვალობის რეიტინგში უსწრებს ევროკავშირის წევრ 15 და დიდი შვიდეულის წევრ 4 სახელმწიფოს, ამასთან, უთანაბრდება ისეთ მოწინავე ქვეყნებს, როგორებიცაა ფინეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი.

საქართველო რეიტინგში უსწრებს კანადას, გერმანიას, იაპონიას, იტალიას, შვეიცარიას, ირლანდიას, ისლანდიას, დანიას, ჩეხეთს, პორტუგალიას, მალტას, ავსტრიას, პოლონეთს, უნგრეთს, ისრაელს, საბერძნეთს, ბელგიას, ლუქსემბურგს, ნიდერლანდებს, ავსტრალიას, კვიპროსს, სამხრეთ კორეას.

ევროპის ანტიკორუფციული ცენტრის განმარტებით, „ანგარიში იკვლევს მთავრობის გამჭვირვალობის ამჟამინდელ მდგომარეობას მთელ მსოფლიოში, სთავაზობს რეალური გამჭვირვალობის ზომას 143 ქვეყნისთვის. ინდექსის შეფასების ქულა ზომავს ფაქტებით და არა აღქმით მანძილს, თუ სად არის ქვეყანა და სად უნდა იყოს ის რეალურ გამჭვირვალობაზე ანგარიშვალდებულებისთვის მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის და გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის კრიტერიუმების გამოყენებით“.

რაც შეეხება ევროპის ანტიკორუფციული ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ „სახელმწიფოს კეთილსინდისიერების ინდექსს“, ის უცვლელი დარჩა და საქართველო 6,72 ქულით მსოფლიოში 32-ე ადგილზეა.

კვლევის მიხედვით, საქართველო სახელმწიფო სექტორის კეთილსინდისიერებით აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზეა, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი მხოლოდ ესტონეთს ჩამორჩება და ყველა დანარჩენს უსწრებს.

ინდექსი აფასებს კორუფციის კონტროლის დონეს ქვეყანაში, უმაღლესი ქულა შეესაბამება კორუფციის კონტროლის მაღალ დონეს, დაბალი ქულა კი კორუფციის სუსტ კონტროლს. ინდექსი იკვლევს სახელმწიფოს კეთილსინდისიერი მმართველობის პრაქტიკას, სასამართლოს დამოუკიდებლობას და პრესის თავისუფლებას, ადმინისტრაციული ტვირთის დონეს, სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მაჩვენებლებს.

ანგარიში ეყრდნობა გაეროს, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სუბიექტების, გლობალური შემფასებელი ორგანიზაციების პროფილურ კვლევებს და ანგარიშგებებს. პროექტი მხარდაჭერილია ევროკავშირის კვლევისა და განვითარების მეშვიდე ჩარჩო პროგრამის მიერ.

საქართველოს
მთავრობის
პრესსამსახური

ეს ამბოხი პუტინის ჩაფიქრებული იყო თუ მის წინააღმდეგ დაგეგმილი?

3

ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ძველი კორპუსი დაანგრიეს - ვინ ააშენებს სასწრაფო დახმარების შენობას?

4

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აჭარა 102

კონფერენცია – „ცელიაკია: სიახლეები და გამოწვევები“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმში საქართველოს ცელიაკიის ეროვნული ასოციაციის მიერ ორგანიზებული კონფერენცია „ცელიაკია: სიახლეები და გამოწვევები“ ჩატარდა, რომელსაც აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე ესწრებოდა

კონფერენციაზე ცელიაკიის მქონე პაციენტთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და აღნიშნულ თემაზე ცნობიერების ამაღლების შესახებ ისაუბრეს სცენას პრეზიდენტმა ქეთი ტაბატაძემ, ბავშვთა გასტროენტეროლოგმა მარიამ ღუღუნიშვილმა, პედიატრმა ნაზი ტაბატაძემ, ხოლო აჭარის რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე პრეზენტაციები წარადგინეს ადგილობრივმა ექიმებმა.

კონფერენცია ღია იყო ცელიაკიის მქონე ადამიანებისთვის და ცელიაკიის მქონე ბავშვების მშობლებისთვის.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო და კერძო უწყებებს შორის პაციენტთა ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით მედიაცია.

ცელიაკია დაავადებაა, რომლის დროსაც ვლინდება რიგი პროდუქტების აუტანლობა, ზიანდება თხელი ნაწლავის კედლები და ირღვევა საჭმლის მონელების პროცესი.

დაავადების მიზეზს წარმოადგენს თანდაყოლილი ფორმა - აუტოიმუნური, ალერგიული და მემკვიდრეობითი ფაქტორები.

ხიდები და საყრდენი კედლები შენდება

ცოტნე ცაბაძე 27 48 94

ქედის მუნიციპალიტეტში ხიდებისა და დამცავი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

სოფელ აგარაში ახალი ხიდის მშენებლობა დასრულდა, ხოლო მერისი-ნამონასტრევის საავტომობილო გზის ერთ მონაკვეთზე ხიდის რეაბილიტაცია მთავრდება.

ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში, რამდენიმე ლოკაციაზე, ბეტონის საყრდენი კედლები და გაბიონები შენდება.

ქედის მუნიციპალიტეტში წელს აშენდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 49 ხელოვნურ ნაგებობას, აშენდება 6 ხიდი, დასრულდება 25 საყრდენი კედლის მშენებლობა, 18 დამცავი ნაგებობისა და წყალარინების მოწყობა.

ქედის მუნიციპალიტეტში ხიდებისა და დამცავი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი მამუკა თურმანიძე, მისი მოადგილე როლანდ ბოლქვაძე, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე და საგზაო დეპარტამენტის ქედის განყოფილების უფროსი გოჩა ბერიძე გაეცნენ.

შუქი – მთა სამსმელოში

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ამიერიდან მთა სამსმელოში მყოფი მეცხოველეები 24-საათიანი, უწყვეტი ელექტრომომარაგებით ისარგებლებენ, რაც ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში გაკეთდა

პროექტის შესაბამისად, დამონტაჟდა 160-კილოვოლტიანი ტრანსფორმატორი და 4 კილომეტრზე ელექტროგაყვანილობის ქსელი მოეწყო. მისი ღირებულება 156 000 ლარია. სამუშაოები ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით კონტრაქტორმა კომპანია შპს „ენერგოგზამ“ შეასრულა. აღნიშნულ მთაში ელექტროენერგია არასდროს ყოფილა და წელს პირველად ჩაირთო, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს და გაუმარტივებს შრომას მეცხოველეებსა და მათ თანმხლებთ.

გარდა ამისა, ვაშლოვანის და დიდაჭარის მთებზე, ზორტიყელში, თეთრობზე, ზედა და ქვედა ყორანაიაილაში მოწესრიგდება ელექტროგაყვანილობის ქსელი. ამ პროექტის საერთო ბიუჯეტი 1 200 000 ლარია.

მედიატური „აწარმოე საქართველოში“ და პროექტი „კლასტერები განვითარებისთვის“

ლოლა ტუმასიანი 27 48 93

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და პროექტის „კლასტერები განვითარებისთვის“ ორგანიზებით, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონში ცენტრალური და ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთა ტური გაიმართა.

პროექტი „კლასტერები განვითარებისთვის“ დაფინანსებულია ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობების მიერ და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს. მედიატურის მიზანი სააგენტოს პროგრამებისა და განვითარების გეგმის შესახებ ბიზნესმედიისა და შემდგომში ბიზნესსაზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება იყო.

- მედიის წარმომადგენლებს გავაცანით როგორც ჩვენი პროგრამები და სამომავლო გეგმები, ასევე, ისინი ადგილზე გაეცნენ ჩვენს ბენეფიციარებს და საკუთარი თვალით ნახეს ჩვენი სააგენტოს სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში შექმნილი და გაფართოებული ბიზნესები. მოხარულები ვართ, რომ მედიის მხრიდან მიმდინარე ტური პოზიტიურად შეფასდა, - აღნიშნა „აწარმოე საქართველოში“ დირექტორმა მიხეილ ხიდურელმა.

მედიატურის ფარგლებში, 30-მდე სხვადასხვა მედიასაშუალების, მათ შორის, ტელევიზიის, ონლაინმედიისა და რადიოს ჟურნალისტები, ორდღიანი სემინარის მიმდინარეობისას, სააგენტოს არსებულ და სამომავლოდ დაგეგმილ პროგრამებს გაეცნენ, ასევე, ეწვივნენ ზუგდიდში მდებარე „აწარმოე საქართველოში“ საკონსულტაციო ცენტრს, რომელიც ამ ეტაპზე სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს და უახლოეს პერიოდში ოფიციალურად გაიხსნება. ჟურნალისტები ადგილზე დეტალურად გაეცნენ საკონსულტაციო ცენტრების კონცეფციას.

მედიატურში მონაწილე ჟურნალისტებმა ზუგდიდში, ასევე, დაათვალიერეს სააგენტოს ბენეფიციარი სასტუმრო „ლეთო“, რომელიც სააგენტოს ხელშეწყობით შეიქმნა. პროექტში 4 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია განხორციელდა და დასაქმებულია 70-ზე მეტი ადამიანი.

ბათუმში მედიის წარმომადგენლები „არტ გლას სტუდიოს“ ეწვივნენ, რომელიც ვიტრაჟებს აწარმოებს და „აწარმოე საქართველოში“ მიკროგრანტების პროგრამის მონაწილეა. როგორც „არტ გლას სტუდიოს“ ხელმძღვანელმა მერაბ მიქელაძემ აღნიშნა, პროექტის „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით მათ შეძლეს ნაწარმის როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ პოპულარიზაცია და ბიზნესი კიდევ უფრო გაფართოვდა, გაიზარდა პროდუქციაზე მოთხოვნა და შესაბამისად გაუმჯობესდა საწარმოს და აქ მომუშავე ადამიანების ფინანსური და ეკონომიკური მხარეც.

ტურის ბოლოს ჟურნალისტები „შალე კვირიკეს“ ახალ პროექტს გაეცნენ, რომელიც ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობი მულტიფუნქციური სასტუმრო კომპლექს „შატო კვირიკეს“ ერთგვარი გაგრძელებაა. გენერალური დირექტორი ამბობს, რომ პროექტი 20-მილიონიანი ინვესტიციაა, საიდანაც 5 მილიონი ლარი „აწარმოე საქართველოში“ თანადაფინანსებით ხორციელდება.

- „შატო კვირიკე“ ბათუმიდან 20 წუთის გზაზე, ქობულეთში მდებარეობს. ის 6 ჰექტარზეა გაშენებული და ისეთ სივრცეებს აერთიანებს, როგორებიცაა: მთავარი სასტუმრო შენობა, 15 კოტეჯი, კერძო ვილა, ვენახი და ღვინის მარანი, რესტორნები, გარე საცურაო აუზი, საღონისძიებო სივრცეები და საკონფერენციო დარბაზი. „შატო კვირიკეს“ მსგავსად, „შალე კვირიკეც“ პროექტ „აწარმოე საქართველოში“ თანადაფინანსებით განხორციელდა, - თქვა „შატო კვირიკეს“ გენერალურმა დირექტორმა პაატა დუმბაძემ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საკონსულტაციო ცენტრები გაიხსნება ბათუმსა და თელავშიც. ქვეყნის მასშტაბით მსგავსი ტიპის ცენტრები ათივე რეგიონში განთავსდება, რაც მეწარმეებს და ბიზნესით დაკავებულ პირებს გაუადვილებს მათთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობას და სხვადასხვა საკითხის მოგვარებას თავიანთ რეგიონში.

ამბები

შაბათ–კვირის ქრონიკა

მეზღვაურებს 25 ივნისს საზეიმო ღონისძიებაზე პროფესიული დღე მიულოცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელმა ალექსი ახვლედიანმა. თორნიკე რიჟვაძემ რეგიონში საზღვაო სფეროს განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა ახალგაზრდების მეტ ჩართულობას ამ საპასუხისმგებლო პროფესიის არჩევისას.

„გილოცავთ მეზღვაურთა საერთაშორისო დღეს, რომელიც განსაკუთრებით აღინიშნება ჩვენს ქალაქში, ბათუმში. მეზღვაურის პროფესია არის მამაცი ადამიანების არჩევანი, რომლებმაც არაერთხელ ასახელეს ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ყველას ოცნება გახლავთ, რომ საქართველომ დაიბრუნოს ფლოტი, რომლითაც ყველა ვიამაყებთ. გავაგრძელებთ ამ მართლაც სტრატეგიული დარგის გაძლიერებას და მეზღვაურთა მხარდაჭერას“ - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

საზღვაო ტრანსპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სხვადასხვა ჯილდო გადასცეს შორეული ნაოსნობის მოქმედ და ყოფილ მეზღვაურებს. ღირსების მედლით დაჯილდოვდნენ საზღვაო დარგის ღვაწლმოსილი წარმომადგენლები.

* * *

„რუსეთი აქ არასდროს იქნება“ - ამ სახელწოდების აქცია გაიმართა ბათუმში, ევროპის მოედანზე. რეფორმების ჯგუფის წევრები და სამოქალაქო აქტივისტები აცხადებენ, რომ საქართველოში, განსაკუთრებით კი აჭარაში ბევრი რუსეთის მოქალაქე იმყოფება თითქოს ტურისტული მიზნით, სინამდვილეში კი სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან, ქმნიან მომსახურების სერვისებს და ამით ზრდიან საფრთხეებს. აქციის მონაწილეები სახელმწიფოსგან მოითხოვენ, გამკაცრდეს სავიზო რეჟიმი და გაიზარდოს კონტროლი საბაჟო გამშვებ პუნქტებზე.

* * *

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის გასვლითი სხდომა გაიმართა მაჭახელას ეროვნულ პარკში. საინფორმაციო ვიზიტის ფარგლებში, კომიტეტის წევრები გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის საქმიანობას როგორც უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვა/შენარჩუნების, ისე ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით. მოინახულეს მაჭახელას დაცული ლანდშაფტი, რომელიც გასულ წელს შეიქმნა და ხელს უწყობს ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების შენარჩუნებას.

* * *

„თუ ასე ტურფა იყავი“, „სისატურა“, „ჩარირამა“ - ეს ბათუმის კულტურის ცენტრის გოგონათა და ვაჟთა ვოკალური ანსამბლების რეპერტუარიდან მცირე ჩამონათვალია, რომელიც ბათუმში საზაფხულო თეატრის სცენაზე შესრულდა. კონცერტს ადგილობრივ მსმენელებთან ერთად ტურისტებიც დაესწრნენ. ორგანიზატორები აცხადებენ, რომ კონცერტები სამომავლოდაც გაიმართება და ქართული კულტურის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ეს ამბოხი პუტინის ჩაფიქრებული იყო თუ მის წინააღმდეგ დაგეგმილი?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა თუ შორსმიმავალი სცენარი უკრაინაზე ახალი მძლავრი აგრესიის დასაწყებად? - სწორედ ამ ვერსიას ავითარებენ ანალიტიკოსები რუსეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რამაც მსოფლიო ახალ რეალობაში გააღვიძა. მოვლენები ქრონოლოგიურად მიმოვიხილოთ

24 ივნისის დილას მთელი მსოფლიოს ყურადღება რუსეთისკენ იყო მიპყრობილი, კერძო არმია „ვაგნერმა“ და მისმა ხელმძღვანელმა პრიგოჟინმა რუსეთის ქალაქები - ვორონეჟი, როსტოვი, ტულა აიღო, მოსკოვის მისადგომებთან განლაგდა და კრემლს ულტიმატუმი წაუყენა - თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა რუსეთის გენშტაბის გენერალიტეტი. თავდაპირველად კრემლმა პრიგოჟინი და მისი არმია მოღალატეებად გამოაცხადა და განადგურებითაც დაემუქრა, თუმცა მოვლენები 14 საათის განმავლობაში პრიგოჟინის სცენარით წარიმართა. ჩანდა, რომ რუსეთის მთავრობა დაბნეული იყო... დასავლეთის ანალიტიკოსები ხაზგასმით აცხადებდნენ, რომ უკრაინის კონტრშეტევის დაწყებამ საბოლოოდ დესტაბილიზაცია მოახდინა რუსეთის ელიტაში, გააღრმავა შიდა განხეთქილება, რომელიც უკრაინაში წარუმატებლობის შემდეგ გაჩნდა...

24 ივნისს ჩვენ, ფაქტობრივად, მოწმენი გავხდით სამოქალაქო ომის დაწყების. პრიგოჟინი ყველაზე კარგად ხვდება, რომ უკრაინის ომი, ფაქტობრივად, წაგებულია. ის იმასაც აცნობიერებს, რომ რუსეთის ელიტაში შიდა დაპირისპირება მიმდინარეობს და ამ მხრივ პრიგოჟინის „ვაგნერი“ ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანია რუსეთში. ის კარგადაა შეიარაღებული, ჰყავს ტანკები, საბრძოლო მანქანები, გამოცდილი მებრძოლები, დაქირავებული მოხალისეები. არადა, რუსეთის არმიის მთავარი ელიტა ახლა უკრაინაში იმყოფება. 24 ივნისის საღამოს რვა საათამდე პრიგოჟინის არმიას წანაღმდეგობა, პრაქტიკულად, არ შეხვედრია, როგორც ამბობენ, პუტინმაც კი დატოვა მოსკოვი... საათები რჩებოდა მოსკოვზე შტურმის დაწყებამდე, მაგრამ მოხდა შეთანხმება კრემლსა და პრიგოჟინს შორის. შუამავლობა ლუკაშენკომ გასწია. როგორც პრიგოჟინი აცხადებს, პუტინი დათანხმდა მის მოთხოვნებს რუსეთის სამხედრო გენერალური შტაბის გადაყენების თაობაზე, ანუ პუტინის ხელისუფლებამ შეასრულა მისი მოთხოვნები - მოხსნეს გენშტაბის უფროსი გერასიმოვი და თავდაცვის მინისტრი შოიგუ, თუმცა ჯერჯერობით ეს ოფიციალურად არ დადასტურებულა.

ასე თუ ისე, ერთი რამ ცხადია, რუსეთი არაპროგნოზირებადი, სიყალბეზე მდგარი ქვეყანაა. ამის შესახებ საყურადღებო მოსაზრებას ავითარებს ანალიტიკოსი გიორგი კობერიძე: „რუსული სახელმწიფოს სტაბილურობის სიმბოლო დამსხვრეულია, სადაც დილით მტრად გამოცხადებულმა კრიმინალურმა, ტერორისტულმა, ნეონაცისტურმა ჯგუფმა გადატრიალება სცადა. ზოგადად, ისეთი ხაზები გადაიკვეთა რუსეთში, რომ აწი ძალიან რთულია მისი უკან გადმოკვეთა ან სხვებისთვის ცდუნების ჩაკვლა“.

ექსპერტები აცხადებენ, რომ თუ პუტინი არ მოიშორებს პრიგოჟინს, მისი რეიტინგი გაცამტვერდება, თუმცა მის ავტორიტეტს უკვე მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ალბათ ერთი წლის წინ ძნელად დასაჯერებელი იქნებოდა რუსეთში ერთდღიანი სამხედრო აჯანყება, პუტინი ხომ უკრაინის დაპყრობას სამ დღეში გეგმავდა და ახალი იმპერიის აღდგენაზე აკეთებდა განაცხადს. უნდა ითქვას, რომ პუტინის ხანგრძლივი მმართველობის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ პუტინი იღბლიანია, შერჩა აგრესია საქართველოს მიმართ, ყირიმის ანექსია... 20 წელი ნავარდობს ქვეყანაში და მსოფლიოს კარნახობს დღის წესრიგს, მაგრამ როგორც თქმულა, ყველა იმპერია დროთა განმავლობაში ინგრევა. პუტინმა შექმნა მითი, რომ უძლეველია, მაგრამ უკრაინაში შეჭრის შემდეგ ეს მითი ნელ-ნელა და ეტაპობრივად ჩამოინგრა. ისიც ცხადია, რომ რაც უფრო გახანგრძლივდებოდა სამხედრო აჯანყება, პუტინის რეიტინგი მით უფრო შემცირდებოდა და პარალელურად პრიგოჟინის მომხრეთა რიცხვი გაიზრდებოდა.

> *„შუამავლობა ლუკაშენკომ გასწია. როგორც პრიგოჟინი აცხადებს, პუტინი დათანხმდა მის მოთხოვნებს რუსეთის სამხედრო გენერალური შტაბის გადაყენების თაობაზე, ანუ პუტინის ხელისუფლებამ შეასრულა მისი მოთხოვნები - მოხსნეს გენშტაბის უფროსი გერასიმოვი და თავდაცვის მინისტრი შოიგუ, თუმცა ჯერჯერობით ეს ოფიციალურად არ დადასტურებულა*

რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა ველოდოთ, რომ სამომავლოდ რუსეთში კეთილშობილი ლიდერი მოვა და დაპყრობილ ტერიტორიებს საქართველოს და მოლდოვას დაუბრუნებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით რუსეთში არ ჩანს დემოკრატი, სამართლიანი ლიდერი, რომელიც აღიარებს ჩადენილ დანაშაულს პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რაც უფრო გახანგრძლივდება ომი უკრაინაში, რუსეთი მით უფრო დაუძლურდება, რაც საქართველოს, მოლდოვასა და, მით უფრო, უკრაინას აძლევს შანსს, ოკუპირებული ტერიტორიები დაიბრუნოს. როგორც ვთქვით, ჯერჯერობით უცნობია, სამომავლოდ პუტინის მმართველობა რამდენად მყარი იქნება ან რომელი ახალი ლიდერი მოკალათდება კრემლში, თუმცა ის კი ცხადია, რომ რუსეთი უკრაინაში მარცხდება.

როგორც ცნობილია, რუსეთ-უკრაინის ომი თითქმის წელიწადნახევარია მიმდინარეობს და უპირატესობა უკრაინის მხარესაა. ამას დასავლეთის გავლენიანი ანალიტიკოსებიც ადასტურებენ. „პუტინის არმიას სამხედრო ამოცანები შეუსრულებელი დარჩა, ამის დასტურია მოვლენები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმში, დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში“, - აღნიშნავენ დასავლელი ანალიტიკოსები.

მოსკოვი თუმცა კვლავ აგრძელებს პროპაგანდისტულ ომს და აცხადებს, თითქოს რუსეთს ნატო და ამერიკა ეომება. ამით ცდილობს კრემლი დასავლურ საზოგადოებაში განხეთქილება შეიტანოს და საკუთარი ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად განაწყოს. რა თქმა უნდა, კრემლის ამ პროპაგანდას დასავლეთის საზოგადოება არ წამოეგება. სამაგიეროდ, მოსკოვი საკუთარი მოსახლეობის ტვინის გამორეცხვას მშვენივრად ახერხებს. ალბა, როგორ აუხსნან ომის კატასტროფული შედეგები მოსახლეობას? ამ ომმა ბევრ რამეს ახადა ფარდა. მაგალითად, ევროპის ერთიანობა დაგვანახა. ვხედავთ, როგორი თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადეს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა უკრაინას. როგორ ამარაგებენ იარაღით, ეხმარებიან ფინანსურად. დიდია პოლიტიკური მხარდაჭერა, თუმცა უნგრეთი, გარკვეულწილად, რუსეთის პოლიტიკას ლობირებს დასავლეთში. თავის დროზე გერმანიამ და საფრანგეთმა დაბლოკეს საქართველოსა და უკრაინისთვის მაპის მინიჭება, მაგრამ ახლა რეალობა შეიცვალა. უკვე თამამად საუბრობენ უკრაინის ნატოში გაწევრიანებაზე. შეიძლება ეს ჯერჯერობით ფანტაზიის სფეროდ უფრო მიაჩნდეს ვინმეს, მაგრამ ორი წლის წინ ფინეთის ნატოში გაწევრიანებასაც შეუძლებლად თვლიდნენ...

რუსეთის აგრესიამ ნატო სხვა რეალობის წინაშე დააყენა. სწორედ ამის შესახებ საუბრობს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანგელა ბერბოკი: „ჩვენი მხარდაჭერა - უკრაინას, მან გაუძლო რუსეთის ენერგეტიკულ ომს და ზამთრის შეტევას. ახლა პუტინს უნდა ვაჩვენოთ ჩვენი გადაწყვეტილება, რომ ის ვერ მიაღწევს თავის მიზნებს დასავლეთის დაღლილობის გამო... ჩვენ ვიცით, რასაც ვიცავთ: საერთაშორისო წესრიგს, სადაც კანონის უზენაესობა და საერთაშორისო სამართალი უპირატესია“. მიუხედავად უკრაინისადმი დასავლეთის მხარდაჭერისა, რუსეთის ჩინეთის ლიდერის იმედი აქვს. მისმა ამასწინანდელმა ვიზიტმა მოსკოვში კრემლისთვის სასურველი შედეგი არ გამოიღო. ანალიტიკოსები ამბობენ, რომ მოსკოვი, პრაქტიკულად, ჩინეთის ვასალი გახდა, რომელსაც შეუძლია რუსეთის ჩაყლაპვა. არაოფიციალურად რუსეთში 40 მილიონი ჩინელი ცხოვრობს, რაც მრავალისმთქმელია. ჩინეთის ინტერესი ამ ომის დასრულებაა, რათა ევრაზიულ სივრცეში თავისი კაპიტალი დაბანდოს, თუმცა რუსეთი ჯიუტად აგრძელებს ომს. კონტრშეტევა, პრეზიდენტ ზელენსკის თქმით, გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია გარდაუვალი იქნება.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთში ერთდღიანმა სამხედრო აჯანყებამ ბევრი რამ გამოააშკარავა. ჯერ ერთი, რუსეთის იმპერიის შეურყევლობა, სულ მცირე, საეჭვო გახდა. ცხადია, ქვეყანა ერთი ადამიანის ძალაუფლებას ემყარება, რამაც ქვეყანაში სამოქალაქო ომის წინაპირობა შექმნა. რეალურად, ეს ამბოხი პუტინის ჩაფიქრებული იყო რუსეთის გენერალიტეტის მოსაშორებლად თუ სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული - პუტინის რეიტინგის გასაცამტვერებლად, ანუ ვიღაცას სურს, მან ძალაუფლება დაკარგოს? ამას დროთა განმავლობაში გავიგებთ. ცხადია, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგი მნიშვნელოვნად იმოქმედებს ევრაზიის კონტინენტზე. ამ ომის დასრულების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისითაც. თუ რუსეთი უკრაინაში კატასტროფულად დამარცხდება და ქვეყანაში ქაოსი დაისადგურებს, ეს, ცხადია, დააჩქარებს საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციას, ამიტომ დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს უკრაინის უპირობო გამარჯვებისთვის, რაც, პრაქტიკულად, რუსეთის იმპერიის დასასრულს ნიშნავს.

ევგენი პრიგოჟინის განმარტებით...

„ინტრიგების, არასწორად გააზრებული გადაწყვეტილებების შედეგად, ამ ერთეულს [„ვაგნერს“] უნდა შეეწყვიტა არსებობა 2023 წლის 1-ელ ივლისს, - აღნიშნა პრიგოჟინმა დაახლოებით 12-წუთიან აუდიოკომენტარში, - ერთ დღეში გავიარეთ 780 კილომეტრი. დარჩენილი იყო 200 კილომეტრზე მეტი მოსკოვამდე. ადგილზე არცერთი ჯარისკაცი არ დაღუპულა. ვწუხვართ, რომ იძულებული გავხდით, დარტყმა მიგვეყენებინა საჰაერო ობიექტებზე. კამპანიის მიზანი იყო, თავიდან აგვეცილებინა „ვაგნერის“ განადგურება, ასევე, პასუხისგებაში მიცემა იმ პირებისა, რომლებმაც თავიანთი არაპროფესიონალური ქმედებებით დაუშვეს უამრავი შეცდომა „სპეცოპერაციის“ დროს. ამას ითხოვდა საზოგადოება“.

პრიგოჟინი ირწმუნება, რომ თავდაცვის სამინისტროს სარდლობაში გადასვლის გეგმის მიუხედავად, „ვაგნერის“ ხელმძღვანელობამ ჩაატარა ინვენტარიზაცია და გეგმავდა 30 ივნისს დონის როსტოვში წასვლას, სადაც, სავარაუდოდ, დაგეგმილი იყო ყველა აღჭურვილობის საჯაროდ გადაცემა „სპეციალური ოპერაციის შტაბისთვის“.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის ინფორმაციით, მოსკოვსა და მის რეგიონებში „ვაგნერის“ ამბოხების გამო დაწესებული უსაფრთხოების ყველა შეზღუდვა მოიხსნა. შეზღუდვები 23 ივნისს მას შემდეგ დაწესდა, რაც კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ძალებმა მათი ბანაკები დაბომბეს და რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუსთან სიტუაციის გასარკვევად მიდიოდნენ. პრიგოჟინის განცხადებითვე, ეს არ იყო სამხედრო გადატრიალება, არამედ „სამართლიანობის მარში“. „ვაგნერელებმა“ როსტოვსა და ვორონეჟში სამხედრო ობიექტები დაიკავეს და მოსკოვისკენ დაიძრნენ. შაბათ საღამოს, ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოსთან საუბრის შემდეგ, პრიგოჟინმა განაცხადა, რომ საველე ბანაკებში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღეს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ რუსეთში პრიგოჟინის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე დაიხურება, თავად კი ბელარუსში გაემგზავრება.

* * *

რუსეთში შაბათ-კვირას განვითარებული მოვლენები აჩვენებს, რომ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრით დიდი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში ვიზიტისას. მისი თქმით, რაც უფრო მეტ ტერიტორიას დაიბრუნებს უკრაინა, მით უფრო ძლიერი იქნება ის მოლაპარაკების მაგიდასთან სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად. „ვგმობთ რუსეთის განცხადებას ბირთვული იარაღის განლაგების შესახებ. ეს არის უგუნური და უპასუხისმგებლო. ვერ ვხედავთ იმის ნიშანს, რომ რუსეთი ემზადება ბირთვული იარაღის გამოყენებისთვის, მაგრამ ნატო სიფხიზლეს ინარჩუნებს“, - დასძინა სტოლტენბერგმა.

* * *

ევროკავშირის საბჭომ გუშინ ევროპის სამშვიდობო ფონდის საერთო ფინანსური ზღვრის 3,5 მილიარდი ევროთი გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. „ეს ევროპის სამშვიდობო ფონდის დაფინანსების უკვე მეორე ზრდაა 2021 წელს მისი შექმნის შემდეგ. ორ წელზე ნაკლებ დროში ფონდმა დაამტკიცა თავისი ღირებულება. მან მთლიანად შეცვალა ის, თუ როგორ ვუჭერთ მხარს ჩვენს პარტნიორებს თავდაცვაში. ეს აძლიერებს ევროკავშირს და მის პარტნიორებს“, - განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა.

* * *

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უკრაინის მთავრობის აღშფოთება გამოიწვია მას შემდეგ, რაც განაცხადა, რომ ადგილობრივმა „სიმპათიამ“ რუსეთის მიმართ დასავლეთის უფრო მკაცრი პასუხი დაბლოკა მოსკოვის მიერ ყირიმის ანექსიის დროს. „არსებობს მიზეზი, რის გამოც 2014 წელს ყირიმში შეიარაღებული შეჭრა არ მომხდარა, რადგან ყირიმი სავსე იყო რუსულენოვანი მოსახლეობით და იყო გარკვეული სიმპათია იმ შეხედულებების მიმართ, რომელსაც რუსეთი წარმოადგენდა, - განაცხადა ბარაკ ობამამ, რომელიც კრიზისის დროს აშშ-ის პრეზიდენტი იყო. მან აღნიშნა, რომ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო 2014 წელს მკაცრი საერთაშორისო პასუხის გასატარებლად და აიძულა ევროპული ქვეყნები, დაეწესებინათ სანქციები.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ძველი კორპუსი დაანგრიეს – ვინ ააშენებს სასწრაფო დახმარების შენობას?

მართა იბერიელი 27 48 93

ბათუმში, ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფოს ძველი შენობის დემონტაჟსა და ამ ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალი შენობის მშენებლობაზე მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს ტენდერი 6 676 011 ლარით ჰქონდა გამოცხადებული. ტენდერი სამმართველომ შეწყვიტა და აღარ გამოუცხადებია, რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობა კი უკვე დაანგრიეს

„ბათუმში, ტბელ აბუსერისძის ქ. №2-ში მდებარე არსებული შენობის დემონტაჟისა და სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობის“ პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაში მერიის სამმართველოს 146 299 ლარი აქვს გადახდილი ინდმეწარმე ლერი ვერძაძისთვის. როგორც ის ამბობს, შენობა მისი პროექტით არ დაუნგრევიათ. მან არ იცის, ახალი შენობის მშენებლობისთვის გამოიყენებენ თუ არა მის მიერ მომზადებულ პროექტს, თუნდაც შეცვლილს.

- პროექტი ჩემგან მერიის სამმართველომ შეისყიდა და მისი საკუთრებაა: უნდა - მომმართავს კორექტირებისთვის, უნდა - თავად შეიტანს ცვლილებებს. ჩემთვის დღემდე არ მოუმართავთ. რას იზამენ, არ ვიცი, ახალი შენობა, ჩემი პროექტით, თითქოს ოდნავ გადადიოდა იქვე, რესპუბლიკურის სკვერისკენ და სკვერზე შეხების უფლება არ მისცესო, ვერ გეტყვით, - ამბობს ლერი ვერძაძე.

დემონტაჟის პროექტის მიხედვით, რომლითაც ტენდერი იყო გამოცხადებული, საპროექტო არეალში არსებული ხე-ნარგავების უმეტესობისთვის გთვალისწინებული იყო გადასარგავი სამუშაოები, რომლებიც ტერიტორიის მოსასწორებელი სამუშაოების შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. ეს პროექტი დემონტაჟისას არ გამოიყენეს, იქვე არსებული მრავალწლიანი ნარგავების უმეტესობა კი გაჩეხეს.

ვინ დაანგრია შენობა? იყო თუ არა დემონტაჟის პროექტი და ნებართვა, მათ შორის ხეების გაჩეხვაზე? ვინ უნდა ააშენოს ახალი შენობა და რა პროექტით? რა ბედი ეწევა პროექტს, რომელშიც ქალაქის ბიუჯეტიდან 146 ათასი ლარია გადახდილი? რაში დაიხარჯება ის 6,6 მილიონი ლარი, რაც აქ ბათუმის ბიუჯეტიდან უნდა დახარჯულიყო? - ამ და სხვა კითხვებზე ბათუმის მერიასა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში ამბობენ, რომ შენობა „საბა კონსტრაქშენმა“ დაანგრია. ეს ის კომპანიაა, რომელმაც რესპუბლიკური საავადმყოფოს ახალი შენობა ააშენა.

- ბათუმში 170-საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს შენობა თავდაპირველი ხელშეკრულებით 2018 წლის 18 მაისამდე უნდა აშენებულიყო. ის 2020 წლის 16 აპრილს გაიხსნა როგორც ცხელების ცენტრი და შემდეგ - კოვიდკლინიკა. „საბა კონსტრაქშენს“ ჰქონდა დემონტაჟის ვალდებულება თავის დროზე და ახლა, მგონი, ქვეკონტრაქტორს დაანგრევინეს... ვის, არ ვიცით, - ამბობენ რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

> ***„ბათუმში 170-საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს შენობა თავდაპირველი ხელშეკრულებით 2018 წლის 18 მაისამდე უნდა აშენებულიყო. ის 2020 წლის 16 აპრილს გაიხსნა როგორც ცხელების ცენტრი და შემდეგ - კოვიდკლინიკა. „საბა კონსტრაქშენს“ ჰქონდა დემონტაჟის ვალდებულება თავის დროზე და ახლა, მგონი, ქვეკონტრაქტორს დაანგრევინეს...***

ბათუმის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ ტენდერი 2023 წლის 9 იანვარს გამოაცხადა და ის, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე, 20 თებერვალს შეწყვიტა. ამ ტენდერში შპს „დს კონსტრაქშენი“ მომსახურებას (ძველი შენობის დემონტაჟს და სასწრაფო დახმარების ახალი შენობის აშენებას) მერიის სამმართველოს 6 609 251 ლარად სთავაზობდა. სამმართველოს სატენდერო კომისიის შეწყვეტის ოქმში აღნიშნულია, რომ 20 თებერვალს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან მიიღეს წერილი, რომ „შესაძლოა, ახალი შენობის პროექტში საჭირო გახდეს ცვლილებების შეტანა“.

„ეს იყო მერიის ქვეპროგრამა, რომელიც გაუქმდა და აღარ ვაგრძელებთ ამ კუთხით მუშაობას. შესაბამისად, არც ფინანსები გადანაწილებულა სადმე სხვა მუხლებში. დეტალები შეგიძლიათ მერიაში მოიკითხოთ“, - ამბობენ სამმართველოში, ბათუმის 2023 წლის ბიუჯეტის მიხედვით კი რესპუბლიკური საავადმყოფოს არსებული შენობის დემონტაჟისა და სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობის ქვეპროგრამისთვის წელს 1 მილიონი ლარი უნდა დახარჯულიყო (ბიუჯეტში იყო შენიშვნა, რომ ეს „მრავალწლიანი პროექტია და სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2023-2024 წწ) შეადგენს 4 500 000 ლარს“). ქალაქის ბიუჯეტში 13 თებერვლის ცვლილებით, შენიშვნა ასე შეიცვალა: „სამუშაოების საერთო ბიუჯეტი (2023-2024 წწ) შეადგენს 6 676 011,36 ლარს“, 28 აპრილის ცვლილებით კი ეს ქვეპროგრამა - („ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება“) ქალაქის ბიუჯეტიდან საერთოდ ამოიღეს. სამმართველომ ტენდერი 20 თებერვალს შეწყვიტა. მომდევნო დღეს - 21 თებერვალს კი აჭარის მთავრობამ განაცხადა, რომ სასწრაფოსთან ერთად, ბათუმის №1 პოლიკლინიკის ახალი შენობაც აშენდებოდა „რესპუბლიკურის“ ეზოში.

ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში იყო სკვერი, რომელიც ახალი შენობის მშენებლობისა თუ ძველის დემონტაჟის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად, მთლიანად შეინარჩუნეს. სკვერის რეაბილიტაციაში რესპუბლიკურმა საავადმყოფომ 246 785 ლარი გადაიხადა. ტენდერი 302 ათასი ლარით იყო გამოცხადებული.

შავი ზღვის წყლის ხარისხი ყოველ 10 დღეში შემოწმდება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო აცხადებს, რომ შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგს 10 დღეში ერთხელ 9 სადგურზე განახორციელებს. სააგენტო აღნიშნულ გადაწყვეტილებას საზოგადოების მაღალი ინტერესით ხსნის.

„კვლევების შედეგად განისაზღვრება ზღვის წყლის ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები მარილიანობის ჩათვლით, ასევე, ბიოგენური ელემენტები და სხვა მაჩვენებლები. აღებული სინჯები საანალიზოდ გაიგზავნება გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ლაბორატორია აღჭურვილია მაღალი სიზუსტის მქონე ანალიტიკური ხელსაწყოებით და აკრედიტებულია ISO 17025 სტანდარტის შესაბამისად“, - წერს სააგენტო.

უწყების ცნობით, მონიტორინგის შედეგები ეცნობება საზოგადოებას ლაბორატორიული კვლევების დასრულებისთანავე.

საქართველო-სომხეთის საზღვრის გამარტივებული კვეთისთვის

„სპუტნიკ-არმენია“ იუწყება, რომ სომხეთის პარლამენტმა საქართველოსთან ორი ქვეყნის მოქალაქეებისთვის საზღვრის გამარტივებული გადაკვეთის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა - ახლა საზღვრის კვეთისთვის მხოლოდ პირადობის მოწმობები იქნება საკმარისი

მანამდე ცნობილი გახდა, რომ სომხეთის პარლამენტის შესაბამისმა კომისიამ დაამტკიცა საზღვრის ურთიერთგადაკვეთის შესახებ შეთანხმების პროექტი.

„სომხეთს შეუძლია და უნდა ააშენოს მეზობლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ეფექტური სქემა, - განაცხადა სომხეთის მმართველი პარტიის დეპუტატმა გურგენ არსენიანმა, - ამ თვალსაზრისით, საქართველოსთან ურთიერთობა შეიძლება გახდეს საუკეთესო „პილოტური პროექტი“ და ჩვენ უნდა ვისწრაფვოდეთ ასეთი რეჟიმისკენ სხვა მეზობლებთან“.

ამირან გურიელიძე

ბსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი 30 წლისაა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დაარსებიდან 30 წელი გავიდა

თარიღის აღსანიშნავად უმაღლეს სასწავლებელში საიუბილეო ღონისძიება გაიმართა, რომელზეც ფაკულტეტის თანამშრომლები, პარტნიორები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები დააჯილდოვეს, ფაკულტეტს კი იურიდიული მიმართულების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის უნივერსიტეტის ჯილდო - შოთა რუსთაველის საპატიო მედალი გადაეცა. უნივერსიტეტის წარმომადგენლების ინფორმაციით, ამჟამად, ბსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა რაოდენობა 3 000-ს აღემატება, რომელთაგან 400 სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდა. მათივე ინფორმაციით, ბსუ-ის სამართლის პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა, ამას ცხადყოფს ის, რომ ფაკულტეტს უკვე ათობით საერთაშორისო პარტნიორი ჰყავს და ინტენსიურად არის ჩართული საერთაშორისო აქტივობებში.

- სამართლის პროგრამები საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია. ძალიან დიდი კონკურსია, რაც ნარჩუნდება ბოლო ათი წელია. შესაბამისად, ინფორმაცია აღნიშნული პროგრამების შესახებ საზოგადოებაში ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თემით დაინტერესებულ ადამიანებს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, რა პროგრამაზე და რა პირობებით იქნება სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში. ამას მსგავსი ღონისძიებების ჩატარება უზრუნველყოფს, - განაცხადა ბსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ლევან ჯაყელმა.

ფაკულტეტის საიუბილეო დღეების ფარგლებში უნივერსიტეტმა საჯარო სამართლის საერთაშორისო საზოგადოების (ICONoS საქართველოს) სამეცნიერო კონფერენციას „თანამედროვე საჯარო სამართლის გამოწვევები“ უმასპინძლა, რომელიც აღნიშნულ იუბილეს მიეძღვნა.

კონფერენცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამისა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. ICONoS-ის მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო სამართლის განვითარებას საქართველოში, კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციას და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის გაძლიერებას.

- ჩვენი სამინისტრო უმაღლეს სასწავლებლებთან განსაკუთრებით იმ საკითხებში თანამშრომლობს, რომლებიც ეხება განათლების ხარისხის ზრდას და ამ კუთხით მნიშვნელოვანია კონფერენციების მხარდაჭერა. მიმდინარე წელს არაერთი კონფერენციის მხარდამჭერია სამინისტრო, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამჟამინდელი კონფერენცია, ვინაიდან ეძღვნება ფაკულტეტის 30 წლის იუბილეს. მინდა თითოეულ კურსდამთავრებულს მივულოცო ეს თარიღი, უნივერსიტეტს მთლიანად და მათ შორის ამ ფაკულტეტს ვუსურვო ძალიან ბევრი კურსდამთავრებული მომავალშიც. სამინისტრო ყოველთვის გააკეთებს მაქსიმუმს იმისათვის, რომ მათ ყოველდღიური მხარდაჭერა ჰქონდეთ, - განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

კონფერენციაში ქართული და უცხოური უნივერსიტეტებიდან 100-ზე მეტმა მომხსენებელმა მიიღო მონაწილეობა, მოწვეულ უცხოელ და ქართველ ექსპერტებთან ერთად გაიმართა 4 პლენარული სესია.

მშობელთა მიგრაციით გამოწვეული შედეგები - ბავშვებში

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

საქართველო ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც დასაქმების მიზნით ზრდასრული მოსახლეობის საზღვარგარეთ მიგრაციის მაჩვენებელი მაღალია. ხშირ შემთხვევაში, მშობლები დასაქმების მიზნით ტოვებენ შვილებს, რათა მათ უკეთესი მომავალი შეუქმნან. ეს უარყოფითად აისახება მარტოდ დარჩენილ ბავშვთა ჯანმრთელობაზე. კვლევები აჩვენებს, რომ მატერიალური კეთილდღეობა მშობლებთან დაშორების დანაკლისს ვერ აკომპენსირებს. ამ თემაზე ბავშვთა განვითარების ცენტრის ფსიქოლოგი ნინო ბაჯელიძე გვესაუბრება, რომელიც სხვადასხვა დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებთან მუშაობს.

- რატომ არის ჩვენს ქვეყანაში მშობელთა მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი?

- მიგრაცია გლობალური მოვლენაა, ადამიანებს საშუალება ეძლევათ, ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. დასაქმების ბაზარი, ისევე, როგორც განათლების, გლობალური გახდა და ადამიანებს აღარ უწევთ არჩევანის გაკეთება მხოლოდ სამშობლოში არსებული შრომის ან განათლების პირობების გათვალისწინებით. დამსაქმებლები ცდილობენ, მოიპოვონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ წარმოების უფრო მაღალ დონეს. თუმცა, ერთი საკითხია დამსაქმებლების და დასაქმებულების სარგებელი და მეორეა, რამდენად სასარგებლოა მიგრაცია ქვეყნის განვითარებისთვის. ჩვენს შემთხვევაში, მშობლები იმიტომ მიდიან საზღვარგარეთ, რომ შვილებს უკეთესი მომავალი შეუქმნან. ისევე, როგორც ყველაფერს, მიგრაციასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყველაზე დიდი სარგებელი, რაც შეიძლება მოჰყვეს ოჯახიდან რომელიმე წევრის ემიგრანტად წასვლას, არის ამავე ოჯახის ეკონომიკური წინსვლა და ფინანსური პრობლემების გადაჭრა, რაც ხშირ შემთხვევაში, მალევე აისახება ოჯახზე. უარყოფითი მხარეები კი დროთა განმავლობაში აისახება ოჯახის წევრებზე, განსაკუთრებით, ბავშვებზე. პირველი რისკფაქტორი, რომლის წინაშეც დგას ბავშვი, როდესაც მშობელს შორდება, არის განშორების შფოთვა. თუმცა, სანამ ამ თემაზე გადავალთ, მანამდე ავხსნათ, თუ რატომ უჭირთ ბავშვებს მშობლებთან განშორება. ჩვილი თანდაყოლილი სიგნალებით ცდილობს დედასთან ან მასზე მზრუნველთან ემოციური კავშირის დამყარებას. ეს სიგნალებია მიახლოება, გადევნება, ჩაჭიდება, ღიმილი, თვალებით კონტაქტი, ტირილი, პროტესტი განშორებისას, ხელში აყვანის სურვილი, ძებნა და სხვა. ამ სიგნალებზე მშობელი პასუხობს „ჩვილიდან გამოწვეული სოციალური ქცევით“. ჩამოყალიბდება თუ არა ჩვილსა და დედას/მზრუნველს შორის სანდო მიჯაჭვულობა, დიდწილად არის დამოკიდებული დედასთან/მზრუნველთან დაკავშირებულ ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: მგრძნობიარობა - ჩვილისგან მიღებული სიგნალების აღქმა, მყისიერი გამოხმაურება, სწორი ინტერპრეტაცია და შესაბამისი რეაგირება ბავშვისგან წამოსულ სიგნალებზე; მეტყველება, ვერბალიზაცია, რომელიც შეეხება ბავშვის ემოციურ მდგომარეობას, შინაგან სამყაროს, ბავშვის ქმედებების მნიშვნელობასა და აზრს; მხედველობითი კონტაქტი - შესაბამისი ემოციური მდგომარეობის ვოკალიზაციით; დამშვიდება - მოზრდილის მგრძნობიარე ქცევა, ფიზიკური კონტაქტი ბავშვთან, როცა ის დამშვიდებას საჭიროებს. მიჯაჭვულობის ობიექტისაგან სეპარაცია, განცალკევება, დიდი გამოწვევაა პატარა ბავშვებისა და თითოეული ჩვენგანისათვის. ბავშვი განცალკევებას განიცდის, როგორც უსაფრთხოების წრიდან გამოსვლის საშიშროებას. გამოწვევის სიმწვავე დამოკიდებულია საფრთხის სიმწვავეზე, ამგვარი სეპარაცია ხშირად მოიცავს არა მხოლოდ მშობლისგან/მზრუნველისგან სეპარაციას, არამედ ყველა ნაცნობისაგან.

- რა არის სეპარაციული შფოთვა?

- ეს არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, როდესაც ბავშვი ძლიერ შფოთვას განიცდის სახლთან ან ადამიანებთან განშორებისას, რომლებთანაც ძლიერი ემოციური კავშირი აქვს. შფოთვითმა აშლილობამ შეიძლება ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ბავშვის ყოველდღიურობაზე. ეს გავლენა შეინიშნება სოციალურ და ემოციურ ნაწილებში, ოჯახურ ცხოვრებაში, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სკოლის გარემოში (შეიძლება სკოლაში წასვლაზე უარს ამბობდეს).

- ყველაზე გავრცელებული სეპარაციული შფოთვის სიმპტომები...

- რეალობასთან შეუსაბამობა, გამუდმებული წუხილი და შფოთვა შესაძლო დანაკარგზე, შესაძლო უსიამოვნებაზე იმ ადამინებთან, რომლებზეც მიჯაჭვული არიან (მაგალითად, შიში, რომ ისინი დატოვებენ მათ და აღარ დაბრუნდებიან.) ან გამუდმებული განცდა, რომ შეიძლება მოკვდნენ. ტირილი, ისტერიკა, იმ მოვლენებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა, სადაც ვინმესთან გამომშვიდობებაა საჭირო. სომატური სიმპტომებია, როდესაც ბავშვს აწუხებს მუცლის ტკივილი, გულის რევა, ღებინება და თავის ტკივილი, ასევე, მათზე ჩივილი მაშინაც, როცა რეალურად არაფერი აწუხებთ. სეპარაციული შფოთვის სირთულე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხნისაა ბავშვი. მაგალითად, თუ ის არის მხოლოდ 1 წლამდე ასაკის და ამ პერიოდში მოუხდა დედას მისი დატოვება, დიდია ალბათობა, რომ მას ექნება მეტყველების შეფერხება, რადგან დედა არის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერი ენის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესში. თუ ბავშვი 7 წლამდე ასაკისაა, აქ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ე.წ. გონებაგაფანტულობას. გარდატეხის ასაკში კი შეიძლება განვითარდეს „დიფუზური იდენტობის სტატუსი“ - როდესაც პიროვნება არ აანალიზებს თავის არჩევანს და ქმედებებს, არ ფიქრობს, ვინ არის და რა უნდა ცხოვრებაში, არ გააჩნია კონკრეტული მიმართულება, არ აქვს მომავლის იმედი. თუ აღნიშნული მდგომარეობა დიდხანს გრძელდება, ეს გამოიწვევს სულიერ დისკომფორტს.

- ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ბავშვი კიდევ რა რისკფაქტორის წინაშე შეიძლება დადგეს?

- კიდევ ერთი რისკფაქტორი, რომლის წინაშეც შესაძლოა დადგეს ბავშვი, არის ოჯახის მიმართ მისი დამოკიდებულების მკაფიო გაუარესება ან სრული გაუფასურება. ასაკის მატებასთან ერთად, ბავშვები იწყებენ იმის გაგებას, თუ რა არის სწორი ან არასწორი. მშობლები, ოჯახის წევრები და სხვა აღმზრდელები ამ გაკვეთილების საუკეთესო მასწავლებლები არიან და მათ შეუძლიათ, დაეხმარონ ბავშვს პირადი ფასეულობებისა და ნორმების დადგენაში. ისევ და ისევ იმის გამო, რომ ბავშვები სწავლობენ სხვების ყურებას, უფროსები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ქცევის მოდელირებაში. როდესაც ბავშვი ხედავს, რომ უფროსები თავიანთ ცხოვრებაში სხვებს პატივისცემით, სიკეთითა და სიყვარულით ექცევიან, ისინიც იმავეს იმეორებენ. ერთი სიტყვით, ბავშვები ოჯახიდან სწავლობენ უმნიშვნელოვანეს უნარებს და როდესაც ოჯახი სრული შემადგენლობით არ არის წარმოდგენილი, ბავშვებს უჩნდებათ შეგრძნება, რომ ისინი დაუცველები არიან. ამასთანავე, არ დაგვავიწყდეს, რომ მშობლები შვილებისთვის როლურ მოდელს წარმოადგენენ და დიდია შანსი, ის ბავშვები, რომლებიც ახლა განშორების შფოთვას განიცდიან, მომავალში თავადაც ემიგრანტები გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ გამოვლილი აქვთ ის სირთულეები, რაც უკავშირდება მშობლებთან განშორებას, უმეტეს შემთხვევაში მაინც ხდებიან ემიგრანტები, რადგან მშობლის ქცევა შვილისთვის, გაუცნობიერებლად, ყოველთვის მისაბაძია. ოჯახი ხომ ელემენტებისგან შემდგარი სისტემაა და ამ სისტემაში თითოეული ელემენტი ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა იყოს. რათა სამომავლოდ მთელი რიგი გართულებები ავიცილოთ თავიდან.

- ამ ტიპის ბავშვებში რა სახის მენტალური პრობლემები იჩენს თავს?

- განშორების შფოთვასთან ერთად, სხვა მენტალური პრობლემებიც იჩენს თავს. ასეთ ბავშვებს უფრო მეტად აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევები, განსაკუთრებით, უყურადღებობის და თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემები. გრძელვადიანმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ ბავშვების დეპრესიული სიმპტომების ქულა მნიშვნელოვნად მაღალი იყო, ვისაც მშობლები საზღვარგარეთ ჰყავდა, ვიდრე იმ ბავშვების, ვისი მშობლებიც სახლში იყვნენ. კვლევებმა ისიც აჩვენა, რომ სამშობლოში დარჩენილ ბავშვებს არ აქვთ უარესი ფსიქიკური მდგომარეობა, ვიდრე სხვა ბავშვებს. რამდენიმე კვლევამ შეაფასა ფსიქოლოგიური მდგრადობის როლი, როგორც შუამავლის ფაქტორი მშობლის მიგრაციის სტატუსსა და სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობას შორის. ერთ-ერთმა კვლევამ, რომელმაც შეისწავლა სამშობლოში დარჩენილი ბავშვების ფსიქოლოგიური გამძლეობა, დაადგინა, რომ მათ მნიშვნელოვნად დაბალი მდგრადობის ქულები აქვთ, რამაც გამოიწვია ფსიქოლოგიური პრობლემები. აგრეთვე, სამშობლოში დარჩენილ ბავშვებში ხშირია ნაადრევი ქორწინების შემთხვევები.

- ეს რატომ?

- იმიტომ, რომ ისინი ცდილობენ იმ დანაკლისის შევსებას, რაც ვერ მიიღეს საკუთარი ოჯახისგან. აღსანიშნავია ისიც, რომ სამშობლოში დარჩენილ ბავშვებში შეინიშნება დაბალი თვითშეფასება, რამაც შესაძლოა, საბოლოოდ არაერთი კომპლექსი ჩამოუყალიბოს.

- როგორ უნდა დაეხმაროს მშობელი ბავშვს კომპლექსების დაძლევაში?

- ადრეულ ასაკში ჩამოყალიბებული კომპლექსების დაძლევა ძნელია, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, აღვზარდოთ ბავშვი კომპლექსების გარეშე და თუ ამას ვერ ვახერხებთ, დავეხმაროთ მას უკვე არსებულის დამარცხებაში. საკორექციო მუშაობა აუცილებლად უნდა დავიწყოთ საკუთარი თავიდან და პასუხი გავცეთ კითხვებს: „როგორ ვზრდით შვილს? მისდამი როგორი დამოკიდებულება გვაქვს? უფრო ხშირად ვაქებთ თუ ვეჩხუბებით? როგორ ვესაუბრებით?“ ბავშვს საკუთარ თავზე წარმოდგენა ექმნება გარშემო მყოფების - თანატოლების, მასწავლებლებისა და უპირველეს ყოვლისა, მშობლების შეხედულებებისა და შეფასებების საფუძველზე. ადრეულ ასაკში ბავშვი ღრუბელივით იწოვს გარემოდან მიღებულ ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ. დაუფიქრებლად ნათქვამი ყოველი სიტყვა, შენიშვნა, ირიბი მზერაც კი მკვეთრად, არასასიკეთოდ ცვლის საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობებისადმი ბავშვის დამოკიდებულებას. ამიტომ, სასურველია, ვიყოთ უფრო ყურადღებიანი, პატივისცემით მოვეპყროთ ბავშვს, მოვუსმინოთ, ნაკლებად გავაკრიტიკოთ, ანგარიში გავუწიოთ, მეტად გავითვალისწინოთ მისი აზრი. თუ ბავშვს რამე ისე არ გამოუვა, როგორც საჭიროა, ნუ მივაკერებთ უუნაროს იარლიყს, ავუხსნათ მარცხის მიზეზი და დავარწმუნოთ, რომ მორიგი მცდელობისას ყველაფერი გამოუვა, უბრალოდ, უფრო ყურადღებით, სერიოზულად უნდა მიუდგეს საქმეს.

- ასეთ დროს როგორია სწორი მიდგომა?

- უნდა გავხდეთ მისი მეგობარი, დაველაპარაკოთ და ავუხსნათ, რომ კომპლექსები ყველას აქვს. მოვუყვეთ მას საკუთარი კომპლექსების შესახებ, ვუამბოთ, როგორი ვიყავით მის ასაკში. ნუ ვეჩხუბებით ცუდი ნიშნების გამო - ის ხომ ცოდნისთვის უნდა სწავლობდეს და არა ნიშნისთვის. თუ რამე დღეს არ გამოუვიდა, ყოველთვის შეიძლება სწავლა და შედეგის გაუმჯობესება. ნუ მოვთხოვთ, მუდმივად მაღალი ქულები ჰქონდეს. გავითვალისწინოთ, რომ შეცდომა ყველას მოგვდის. ყურადღება გავამახვილოთ ბავშვის თვისებებზე და განვავითაროთ ისინი. შევაქოთ პატარა მონდომებისა და მცდელობისთვის და არა მიღებული ნიშნისთვის. კომპლექსების დაძლევის ერთ-ერთი გზა ბავშვისთვის თავისუფლების მინიჭებაა. „იქ არ წახვიდე!“ „ეს არ გააკეთო!“ - თუ გამუდმებით ასეთ შეძახილებს გაიგონებს, ბავშვი იფიქრებს, რომ არ ვენდობით, არ გვჯერა მისი შესაძლებლობების. უმჯობესია, მოქმედების თავისუფლება მივცეთ, დავრთოთ დამოუკიდებლობის გამოვლენის ნება. ნუ გავუკეთებთ იმას, რაც ბავშვობაში ჩვენ თვითონ გვიქმნიდა დისკომფორტს. ასევე, თუ ბავშვს უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა, ვურჩიოთ, უარი არ თქვას წასვლაზე, როცა სადმე ეპატიჟებიან, გამოხატოს პოზიტიური განწყობა, სჯეროდეს საკუთარი თავის, იყოს უშუალო და ბუნებრივი. ნუ შეეშინდება ინდივიდუალურობის გამოვლენის, რადგან ეს ღირსებაა და არა ნაკლი. იყოს გახსნილი და ილაპარაკოს იმის შესახებ, რა მოსწონს და რა - არა. არ დამალოს საკუთარი დამოკიდებულება, აზრი, ყოველთვის იყოს ის, ვინც არის, შეინარჩუნოს თვითმყოფადობა.

- დაბოლოს, რას ურჩევთ მშობლებს?

- გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი სირთულის დაძლევის პროცესში ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების აზრი, მათი მხარდაჭერა და უპირობო სიყვარული. ის უნდა გრძნობდეს, რომ გვიყვარს არა წარმატებების გამო, არამედ იმიტომ, რომ არსებობს და ჩვენ გვერდითაა. დაბოლოს, მიუხედავად ამდენი რისკფაქტორისა, რომლის წინაშე დგანან სამშობლოში დარჩენილი ბავშვები და მათი მშობლები, უფრო მეტი ადამიანი მიდის საზღვარგარეთ, რაც ავტომატურად ნიშნავს სამშობლოში დარჩენილი ბავშვების რიცხვის გაზრდას. აქვე დავამატებ, რომ ყველას ერთნაირი სირთულით არ გადააქვს მშობლის საზღვარგარეთ წასვლა. ინტერვიუში მოყვანილი სტატისტიკა და კვლევები მაქსიმალურად ასახავს იმ საფრთხეებს, რის წინაშეც შესაძლოა დადგნენ ემიგრანტი მშობლები და შვილები. მინდა, ყველა ემიგრანტს ვუსურვო სამშობლოში მალე დაბრუნება და მშობლობით ტკბობა. მათი ამაგი ფასდაუდებელია.

> ***„განშორების შფოთვასთან ერთად, სხვა მენტალური პრობლემებიც იჩენს თავს. ასეთ ბავშვებს უფრო მეტად აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევები, განსაკუთრებით, უყურადღებობის და თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემები. გრძელვადიანმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ ბავშვების დეპრესიული სიმპტომების ქულა მნიშვნელოვნად მაღალი იყო, ვისაც მშობლები საზღვარგარეთ ჰყავდა, ვიდრე იმ ბავშვების, ვისი მშობლებიც სახლში იყვნენ***

ევროკავშირს ჯერჯერობით სტრატეგია არ აქვს, თუმცა...

ევროკავშირს ჯერჯერობით არ აქვს სტრატეგია რუსეთში არაპროგნოზირებადი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებით, ორგანიზაცია რუსეთში შექმნილი ვითარების გაანალიზებას ახდენს და შესაძლო სცენარებს განიხილავს, - განაცხადა ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში უმაღლესმა წარმომადგენელმა ჯოზეფ ბორელმა.

„თქვენ მეკითხებით, გვაქვს თუ არა სტრატეგია რუსეთში პოლიტიკური არაპროგნოზირებადობასთან დაკავშირებით. სტრატეგიის შემუშავებას, მდგომარეობიდან გამომდინარე, დრო სჭირდება. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ. მე ვთვლი, შეიძლება ითქვას, რომ შესაძლო სცენარების გაანალიზება ხდება, თუმცა მზა სტრატეგია არ გვაქვს“, - განაცხადა ჯოზეფ ბორელმა.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ევროკავშირმა შეცვალა თავისი ხედვა რუსეთთან და მისგან შესაძლო საფრთხეებთან დაკავშირებით.

„რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს არა მხოლოდ იმის გამო, რომ აქვს სამხედრო შესაძლებლობები ომის პროვოცირებისთვის, რაც უკვე აჩვენა, არამედ შიდა პოლიტიკური არასტაბილურობის გამო“, - განაცხადა ევროკომისარმა.

ამირან გურიელიძე

«ბერმუხას» უცვლელ წევრს 100 წლის იუბილეს გადაუხდიან

თითქმის 40 წელია, ეროვნულ ქორეოგრაფიაში თავის სიტყვას ამბობს ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი «ბერმუხა». მადლიერმა საზოგადოებამ ანსამბლს დაარსებიდან 35 წლის იუბილე გადაუხადა. სულ მალე დაბადებიდან 100 წელი უსრულდება მის უცვლელ წევრს, სოფელ ირემაძეების მკვიდრს მუხამედ ირემაძეს. ანსამბლის, მისი წევრისა და ხულოს კულტურის ცენტრის საქმიანობის შესახებ «აჭარასთან» ცენტრის დირექტორი ჯუმბერ აბაშიძე საუბრობს

- თითოეული ხულოელისთვის, ისევე, როგორც ჩემთვის, დიდი პატივია, რომ ვარ იმ დიდი წარმატებების მომსწრე, რომელსაც ხულოს რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელების თამაზ ტუნაძისა და ეთერ დეკანაძის ინიციატივით დაარსებულმა ანსამბლმა «ბერმუხამ» მიაღწია. უხუცესთა ეს ანსამბლი ხიხაძირიდან დაწყებული, ღორჯომისა და ბეღლეთ-დანისპარაულის ხეობის 50-მდე უხუცეს მოცეკვავეს აერთიანებდა. დეტალურად აღარ შევუდგებით იმ ტიტულების, სხვა აღიარების ჩამოთვლას, რაც «ბერმუხამ» მოიპოვა, ერთ გარემოებას კი გამორჩეულად გავუსვამ ხაზს - ყოველ წამოწყებას, თუ კარგი გამგრძელებელი არ ჰყავს, ჩანასახშივე ჩაკვდება. «ბერმუხამ» დროის გამოცდას რომ გაუძლო, ეს ჩემი წინამორბედის ავთანდილ ბოლქვაძის დამსახურებაცაა. იგი სულ თან ახლდა «ბერმუხელებს». მისი საცხოვრებელი სახლის კარი უხუცესებისთვის ყოველთვის ღია იყო და ახლაც ასეა. თაობათა ცვლის პროცესი «ბერმუხამაც» გამოიარა. ჩვენი, მისი ახლანდელი სამხატვრო ხელმძღვანელის რევაზ აბულაძის მუშაობა იქითკენაა მიმართული, რომ ის ილეთები, რომელსაც «ბერმუხელები» თავისებური ვარიანტებით ასრულებენ, არ დაიკარგოს, გამგრძელებლები ჰყავდეს, რასაც ვაღწევთ კიდეც. თითქმის სამი ათეული წელია, ამ სფეროში დასაქმებული ვარ და ერთ ფაქტსაც ვერ გავიხსენებ, რომ რეგიონის, ხულოს ხელმძღვანელობას «ბერმუხასთვის» თანადგომა არ გაეწიოს. «ბერმუხა», ახალგაზრდების ქორეოგრაფიული ანსამბლი «არგინეთი» რევოლუციური პროცესების, პოლიტიკური სახეცვლილებების პერიოდში შესაძლოა სცენიდან გამქრალიყო, რომ არა პარლამენტარ ანზორ ბოლქვაძის მატერიალური თუ მორალური თანადგომა, რასაც დღემდე არ აკლებს კულტურისა და ხელოვნების სფეროს.

- მუხამედ ირემაძის შესახებ გვითხარით...

- ბატონი მუხამედიც ერთი რიგითი ხულოელია, ხელოვანი, რომელმაც 100 წელი ისე მიითვალა, რომ სცენისა და მაყურებლისთვის არ უღალატია. ასეთი ქვეყნის მასშტაბითაც კი არ მეგულება. მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლებიდან მოყოლებული, ფიზიკურ შრომას ეწეოდა. ჭაბუკი სცენაზე პირველად თანასოფლელებმა ნახეს. «განდაგანას» ის ილეთი, რომელიც მაშინ შეასრულა, იმავე ფორმით დღემდე მოიტანა. იყო წარმატებაც, მაგრამ არა საქმის ღალატი. თავად ვარ მომსწრე, ჯანმრთელობის პრობლემის მიუხედავად, როგორ ამხნევებდა ჯერ საკუთარ თავს, შემდეგ ანსამბლის წევრებს, ყველაფერს აკეთებდა, რომ მაყურებლისთვის სიამოვნება მიენიჭებინა. იგი პირველი ხელოვანია ქვეყნის მასშტაბით, რომელსაც საუკუნოვან იუბილეს მასზე 15 წლით უმცროს ხულოს თეატრში გადაუხდიან.



- 35 «ამაგდარი»... ახალ წამოწყებას დაუდეთ სათავე...

- ეს წამოწყება მუნიციპალიტეტის ახლანდელი ხელმძღვანელების დამსახურებაა, ხულოში ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მრავალი ადამიანი საქმიანობს, პატიოსნად, ყოველგვარი ანგარების გარეშე. ისინი წუთისოფლიდან ისე გადავიდოდნენ, რომ მათი საქმე საჯაროდ ერთხელაც არ დაფასდებოდა. მუხამედ ირემაძეს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანა აქვს მოვლილი და მაყურებლის ოვაციაც არ აკლდა, მაგრამ რა დაეშავა ხულოელმა მეწისქვილემ, დურგალმა, მემთეურმა თუ კულინარმა, რომლებიც საქმეს უხინჯოდ, ყოველგვარი დაყვედრებისა და დამადლების გარეშე აკეთებენ. ადამიანების ეს კატეგორია გვყავდა პირველ შეკრებაზე მოწვეული. მონაწილე ვარ იმ დღის, როცა ქვეყნის მასშტაბით პირველად ხულოში, 10 და მეტი შვილის გამზრდელი დედები შეკრიბეს და დააფასეს. ყველას იმედი გვაქვს, რომ «დედის დღის» მსგავსად, «ამაგდარიც» გზას გაიკვლევს.

> ***ჭაბუკი სცენაზე პირველად თანასოფლელებმა ნახეს. «განდაგანას» ის ილეთი, რომელიც მაშინ შეასრულა, იმავე ფორმით დღემდე მოიტანა. იყო წარმატებაც, მაგრამ არა საქმის ღალატი. თავად ვარ მომსწრე, ჯანმრთელობის პრობლემის მიუხედავად, როგორ ამხნევებდა ჯერ საკუთარ თავს, შემდეგ ანსამბლის წევრებს, ყველაფერს აკეთებდა, რომ მაყურებლისთვის სიამოვნება მიენიჭებინა. იგი პირველი ხელოვანია ქვეყნის მასშტაბით, რომელსაც საუკუნოვან იუბილეს მასზე 15 წლით უმცროს ხულოს თეატრში გადაუხდიან***

- ტურისტული სეზონი, გახშირებული ღონისძიებები ყველაზე დიდი პასუხისმგებლობის წინაშე კულტურისა და მომსახურების სფეროების მუშაკებს აყენებს...

- ჩვენთან მოქმედებს 7 სასოფლო კულტურის სახლი და 9 სასოფლო კლუბი. ამას წინათ სახალხო დღესასწაული «სელიმობა» გავმართეთ. ყველას მოწონება დაიმსახურა საციხურის კულტურის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ «საციხურის» გამოსვლამ. საქმეს გულისხმიერად უდგებიან სხალთის, ვერნების, ღორჯომის, ხიხაძირის კულტურის სახლებთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, ანსამბლების წევრები ფორმებით მოვამარაგეთ. ხეობაში ღონისძიება რომ იმართება, იქ მოქმედი ანსამბლები გამოდიან მაყურებლის წინაშე. ამ ეტაპზე, 15-მდე ანსამბლი გვყავს. ვალში არც ტურისტების წინაშე ვრჩებით. მნიშვნელოვან ტურებს ადგილობრივი ფოლკლორისთვის დამახასიათებელი ცეკვებითა და სიმღერებით ვალამაზებთ. გვყავს ანსამბლები, რომლებიც სამი თაობის ხელოვანებს აერთიანებს. «ვერნებში» მამა და შვილი გამოდიან, ცოლ-ქმარი მღერის ანსამბლ «სხალთაში».

- ბიბლიოთეკებშიც ბევრი სიახლეა.

- კულტურის სისტემაში მუშაობა რომ დავიწყე, ხულოში 52 ბიბლიოთეკა მოქმედებდა. «ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ» ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კულტურის ეს კერა მარტო დაბა ხულოში დატოვა. ის დღეც მახსოვს, როცა აჭარაში მომუშავე მწერალმა და პოეტმა ქალებმა ცისანა ანთაძემ, ბელა ქებურიამ, გულიკო გაბაიძემ, ნანა შაინიძემ დედაენის დღეს ხიხაძირში წიგნები ამოგვიტანეს და ხელის ერთი მოსმით გაუქმებული ბიბლიოთეკა საზეიმოდ აღადგინეს. მთელი სოფელი ამ წამოწყებას მიესალმა. მას შემდეგ კიდევ 10 სოფელში გავხსენით ბიბლიოთეკა. მრავალი წამოწყების, ღონისძიების მოთავეა ლია ბოლქვაძე. მისი ინიციატივით, ხულოს საჯარო ბიბლიოთეკაში ამერიკული კუთხე მოქმედებს. ოკეანისგადაღმელი მეგობრებისგანაც არ გვაკლია თანადგომა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ელჩებიც გვსტუმრობდნენ, ბიბლიოთეკის საქმიანობით დაინტერესდნენ და ხულო კმაყოფილებმა დატოვეს. ლია ბოლქვაძის ინიციატივით, დაბა ხულოში დაიდგა ყუთი, რომელიც ცალკეული პიროვნებების მიერ შემოწირული წიგნებით ივსება. ყველაზე მეტი წიგნი პარლამენტარ ანზორ ბოლქვაძისგან მივიღეთ. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთით მადლობას ვუხდი ქვეყნის და აჭარის მასშტაბით მოღვაწე მწერლებს, პოეტებს, მეცნიერებს, რომლებიც თავიანთ წიგნებს ხულოში მოქმედ ბიბლიოთეკებს ჩუქნიან.

- ბიბლიოთეკას მკითხველი თუ ჰყავს?

- მთაში წიგნი, გაზეთი ყოველთვის ფასობდა და ფასობს. თანამედროვე ტექნოლოგიები, ინტერნეტი არც ხულოელებისთვისაა უცხო, მაგრამ ბეჭდური პროდუქციისადმი დამოკიდებულება სულ სხვაა. შარშან ლიტერატურული ფესტივალის «ზე-კართან» დასკვნითი დღე და წიგნის ბაზრობა ხულოში გაიმართა. ყველა გულისტკივილს გამოვთქვამთ, რომ რამდენიმე წელია ხულოში პერიოდული პრესა აღარ შემოდის. რეგიონში, თუნდაც დედაქალაქში გამომავალ გაზეთებს დაინტერესებული პირი ვეღარც ბიბლიოთეკაში ნახავს. «აჭარის» რედაქციასთან გავაფორმებთ მემორანდუმს 15-20 ცალი გაზეთის ერთჯერად მიწოდებაზე. ამ კეთილ საქმეზე უარს არც სკოლების ხელმძღვანელები იტყვიან. სამწუხაროდ, ადგილობრივი გაზეთი «ხულოც» აღარ გამოდის.

- მუზეუმებს თუ ჰყავთ დამთვალიერებელი?

- კუთხის, ღირსეული პიროვნების ღვაწლის დაფასება იყო, როცა ბატონმა თეიმურაზ კომახიძემ და ქალბატონმა ნარგიზ აბაშიძემ სხალთაში შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი გახსნეს. მუზეუმის ახლანდელ ხელმძღვანელ იზოლდა სურმანიძის დამსახურებით იგი კულტურულ-საგანმანათლებლო კერად იქცა. მუზეუმში თეიმურაზ კომახიძის ბიუსტიც დაიდგა. ბატონმა ნარგიზ აბაშიძემ სხალთაში შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი გახსნეს. მუზეუმის ახლანდელ ხელმძღვანელ იზოლდა სურმანიძის დამსახურებით იგი კულტურულ-საგანმანათლებლო კერად იქცა. მუზეუმში თეიმურაზ კომახიძის ბიუსტიც დაიდგა. ქვეყნის ცნობილი მეცნიერები, აქ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს ატარებენ. სხალთის ხეობაში ორი მნიშვნელოვანი სახალხო დღესასწაული «ტბელობა» და «სელიმობა» იმართება, სხალთის ტაძარი «ღვთისმშობლობას», სხვა საღვთო დღესასწაულებს მასპინძლობს. მუზეუმს ამ დღეებში და არც სხვა დროს, მნახველი არ აკლია. ვისურვებდით, რომ ასეთი დატვირთვა თხილვანაში არსებულმა ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა შეიძინოს, სადაც რემონტი უკვე დაასრულა.

- ხულოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ზაფხულს მესხეთის, აჭარა-შავშეთის, აჭარა-გურიის ქედების კალთებზე არსებულ იალაღებზე ატარებს. მათთვის რა კულტურული ღონისძიებები იგეგმება?

- სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ამოქმედების შემდეგ, გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე იალაღებმა, მწვანე ტბის შემოგარენმა, დიდი დატვირთვა შეიძინა. მარტო «შუამთობის» ღონისძიებებით აღარ გვინდა შემოვიფარგლოთ. საკურორტო სეზონის გახსნის დღეს, კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები ბეშუმში კონცერტს გამართავენ, გოდერძსა და ბეშუმში ხულოს თეატრის დასი სპექტაკლებს წარადგენს. ბეშუმში ხელოვანებს თბილისიდან და ბათუმიდან ველოდებით. ყურადღების მიღმა არ დაგვრჩება სარიჩაირი, თეთრობი, კურორტ ბახმაროს შემოგარენში არსებული იაილები, ზოტიყელი, ფაფარა. უდავოდ დიდი საქმე გააკეთა ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, როცა ყველა მთაში დენი გაიყვანა. მინდორში კონცერტებს რომ ვმართავთ, უწყვეტი ელექტრომომარაგება გვაქვს.

- ისევ «ბერმუხას» შესახებ საუბრით დავასრულოთ ინტერვიუ. ანსამბლში 15-მდე წევრია, რომლებიც განსხვავებული ილეთებით გამოდიან სცენაზე. რას აკეთებთ, რომ «განდაგანას» ეს ვარიანტები არ დაიკარგოს?

- პირველ რიგში, იმათი სახელების არდავიწყებისთვის ვზრუნავთ, ვინც ამ ანსამბლს დაუდო სათავე და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. ამ საიუბილოს პირველად ვამხელ - მუხამედ ირემაძის ოჯახი სხვაგან გადასვლას აპირებდა, მაგრამ «ბერმუხას» მართლაც ბერმუხა წევრმა ანსამბლს, ხელოვნებას არ უღალატა და ახლაც მშობლიურ ირემაძეებში სახლობს. გვინდა ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე სათანადო ადგილი გამოვნახოთ და ღირსეულ «ბერმუხელებს» ვარსკვლავები გავუხსნათ. დროა, ვინმემ ანსამბლზე წიგნიც დაწეროს. ამ დღეებში კი სატბაოს უბანში «ბერმუხას» მონუმენტი იხსნება.

კარგი საქმე წამოიწყო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რიჩარდ გოლფმა. იგი «ბერმუხაზე» და კულტურის ცენტრთან მოქმედ ანსამბლებზე ფილმს იღებს.

60 წელი – ჯანმრთელობის სადარაჯოზე

დღვანელი ჟუჟუნა და შაქირ ფუტკარაძეების ოჯახში 4 ქალიშვილი და ერთი ვაჟი გაიზარდა. ხუთივემ ცხოვრებისა და შრომის შესანიშნავი გზა გამოიარა

ისინი ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში საქმიანობდნენ. 20 წლის იყო ეთერი, როცა მედდის ხალათი მოირგო და მას შემდეგ უკვე 60 წელია ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას. იგი ახლაც ქიძინიძეების თემის სამედიცინო პუნქტის ექთანია, გულისხმიერებითა და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. ოჯახიც ამ სოფელში შექმნა. ეთერი ბებიაქალის საქმესაც ითავსებს - 200-ზე მეტი ახალშობილი ჰყავს მიღებული.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს წევრი, დღვანის თემის მაჟორიტარი ემზარ აბაშიძე ეთერ ფუტკარაძე-აბაშიძეს სოფელში ეწვივნენ, დაბადებიდან 80 და სამსახურებრივი საქმიანობის 60 წელი მიულოცეს და მედიცინის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის მადლობის სიგელი გადასცეს.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

ყურბნის არსი და მნიშვნელობა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ახლოვდება ყურბან-ბაირამი. მის არსსა და მნიშვნელობაზე სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მუფთი აჲმ შანთაძე გვესაუბრება

- სიტყვა „ყურბანი“ დაახლოებას ნიშნავს. ამ რელიგიური ტერმინის მნიშვნელობა ასეთია: ღვთისმსახურების მიზნით, ფიზიკური ნაკლის არმქონე ცხოველის, კონკრეტული დროის, პირობებისა და წესების გათვალისწინებით, ყურბან-ბაირამის დღეებში დაკვლა. მსხვერპლშეწირვა უძველესი დროის ერთ-ერთი ღვთისმსახურებრივი ტრადიციაა. ადამიანს ყოველთვის სურდა ღმერთთან დაახლოება და ცდილობდა, მისთვის მსხვერპლი შეეწირა. ამასთან დაკავშირებით, ყურანში ასეა გაცხადებული: „ყოველი თემისთვის ჩვენ დავადგინეთ მსხვერპლშეწირვის ადგილი, რათა მათ ახსენონ ალაჰის სახელი საქონელზე, რომელიც მან უბოძა. თქვენი ღვთაება ერთადერთი ღმერთია! მაშ, იყავით მისი მორჩილნი!..“. ყურბანი სათავეს ჯერ კიდევ შუამავალ ადამის შვილების - აბელისა და კაინის დროიდან იღებს. ორივემ მსხვერპლი შესწირა, მაგრამ ღმერთმა კმაყოფილებით მხოლოდ ერთის (რომელიც ალაჰის მორჩილი იყო) მიიღო. ყურანი გვამცნობს: „...ჭეშმარიტად, წაუკითხე შენ მაგათ ამბავი ადამის ორი ვაჟისა, როდესღაც მსხვერპლი შეწირეს ორივემ და შეწყნარებულ იქნა ერთისაგან და არ იქნა შეწყნარებული მეორისაგან, და თქვა მან: „მე მოგკლავ შენ უსათუოდ!“, უპასუხა: „ალაჰი მხოლოდ ღვთისმოშიშთაგან შეიწყნარებს“.

- ვის ეკისრება ყურბნის შეწირვის ვალდებულება?

- ისლამში ყურბნის შესახებ ჰიჯრის (გადასახლება) მეორე წელსაა ნაბრძანები. აბუ ჰანიფეს სკოლის სწავლების თანახმად, მუსლიმს, რომელსაც 80,18 გრამი ოქრო ან შესაბამისი ღირებულების ქონება მოეპოვება, ყურბნის შეწირვის ვალდებულება ეკისრება. სწავლულთა სხვა დანარჩენი ნაწილის აზრით, ყურბნის შეწირვა, შესაძლებლობის შემთხვევაში, შესასრულებელი მადლიანი ღვთისმსახურებაა. მსხვერპლშეწირვის ვალდებულება ყურანის შემდეგი აიათებით დასტურდება: „ილოცე შენი ღმერთისთვის და მას დაუკალი შესაწირი!“.

- ისლამამდე რა ვითარება იყო?..

- ისლამამდე, საუკუნეების განმავლობაში, პირუტყვი კერპების სახელით იკვლებოდა. ჯაჰილიის (უმეცრება) პერიოდის არაბები გარკვეულ დროს ქაბასა და სხვა ადგილებში მყოფ კერპებთან სულიერად უფრო დაახლოების გამოსახატად, შეწირული მსხვერპლის სისხლს კერპებს სცხებდნენ, ხორცს კი წვეტიან ქვებს ჩამოაცვამდნენ, რათა ცხოველებს შეეჭამათ. მათი კიდევ ერთი ადათი ის იყო, რომ ახლად გარდაცვლილის საფლავს მსხვერპლს სწირავდნენ, აქაოდა, გარდაცვლილს სულიერად დაეხმარებაო. ისლამის მოვლინებამ მსგავსი ადათ-წესები ღმერთის ერთობის საწინააღმდეგოდ ჩათვალა და გააუქმა. ამგვარად, კერპების სახელზე პირუტყვის შეწირვა ერთადერთი ღმერთის მოზიარის გაჩენას ნიშნავს, რის გამოც დაკლული ლეშად ითვლება. ყურბანი გამჩენი ალაჰის სახელის ხსენებითა და მხოლოდ და მხოლოდ მისი კმაყოფილების მოპოვებისთვის შეიწირება.

- რას ეყრდნობა ისლამში ყურბნის შეწირვის ისტორია?

- ისლამში ყურბნის ძირითადი საწყისი შუამავალ იბრაჰიმს ეყრდნობა. აღნიშნულ ღვთისმსახურებას საფუძვლად უდევს ცნობილი ამბავი იბრაჰიმისა, რომელსაც ღმერთმა სურვილი აუსრულა და ვაჟიშვილი მიმადლა. თუმცა წინ იყო გამოცდა, რომლის თანახმადაც იბრაჰიმს ეს ვაჟიშვილი მსხვერპლად უნდა შეეწირა. შუამავალმა იბრაჰიმმა დანაპირების სისრულეში მოყვანა და ვაჟიშვილის მსხვერპლად შეწირვა მტკიცედ გადაწყვიტა, თუმცა ღმერთმა უბოძა მას მსხვერპლი ვერძის სახით, რომელიც იბრაჰიმს თავისი ვაჟიშვილის მაგივრად უნდა შეეწირა. ყურანი გვამცნობს: „სწორედ მაშინ ვახარეთ მას ძე მორჩილი. როცა მიაღწია მასთან სეირნობის ასაკს, უთხრა: „შვილო ჩემო, უეჭველად, სიზმარში ვიხილე, რომ მსხვერპლად გწირავდი. მაშ, გაიაზრე, აბა, რას სჭვრეტ?“, მიუგო: „მამაჩემო! ჭქმენ, რაც გებრძანა. მე მიხილავ მომთმენთაგან, თუ იქნება ნება ალლაჰისა!“. როცა ორივე დამორჩილდა და მას შუბლი დაადებინა ძირს, მაშინ ვუხმეთ: ჰეი, იბრაჰიმ! „უთუოდ ერთგულება გამოიჩინე სიზმართან მიმართებაში.“ უეჭველად, ჩვენ ასე მივუზღავთ კეთილის მქნელთ! უეჭველად, ეს ცხადი გამოცდაა! და გამოსასყიდად ვუბოძეთ მას უდიდესი შესაწირი“. ყურბნის შეწირვის მიზანი ალაჰისადმი მადლიერების გამოხატულება და ცოდვებისგან განწმენდის სურვილია.

ისლამური წეს-ჩვეულების თანახმად, ყურბნის ნაცვლად სხვა ქონების გაცემა არ შეიძლება. მსხვერპლშეწირვას, როგორც ღვთისმსახურებრივი, ასევე საზოგადოებრივი ფუნქციაც გააჩნია. მსხვერპლშეწირვის, როგორც ღვთისმსახურების მიზანი მოსახლეობის ღარიბი ფენისთვის დახმარების ხელის გაწოდებაა. მსხვერპლშეწირვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთის კმაყოფილებასთან ერთად, გაჭირვებული ადამიანის ხორცით დაკმაყოფილების აუცილებლობაა მასში გამოხატული. ამგვარად, მსხვერპლშეწირვა საზოგადოებაში ძმობას, ურთიერთდახმარებასა და თანადგომას დაამკვიდრებს, საზოგადოებრივი ჰარმონიის განვითარებას ხელს უწყობს. მსხვერპლშეწირვა მდიდარს ღმერთის კმაყოფილებისთვის ქონების გაღებასა და სხვებზე განაწილებისკენ უბიძგებს. მას სიძუნწის სენისა და ამქვეყნიური ვნებებისგან იხსნის. ამასთან ერთად, მდიდრები და ღარიბები ბაირამის დღეებს ერთად იზეიმებენ და ამგვარად ძმობასა და ერთიანობას საფუძველს ჩაუყრიან.

- რამდენ დღეს გრძელდება ყურბან-ბაირამი?

- 4 დღეს, ანუ ყურბნის შეწირვა შესაძლებელია ბაირამის პირველ, მეორე და მესამე დღეს მზის ჩასვლამდე, თუმცა ბაირამის პირველ დღეს შეწირვა უკეთესია. ბაირამი სიხარულის, სიყვარულის, ქველმოქმედების, დამდურებულთა შერიგების, ურთიერთდახმარებისა და პატივისცემის საუკეთესო დროა. ბაირამის დღეებში უნდა მოვინახულოთ მშობლები, ახლობლები, ნათესავები, ავადმყოფები, შევურიგდეთ დამდურებულებს, პატიება ვთხოვოთ მათ, ვისი უფლებებიც შევლახეთ, ვისაც სხვადასხვა მიზეზით გული ვატკინეთ ან ვაწყენინეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, სოციალურად დაუცველ და უმწეო ოჯახებს, ობლებს და სხვა სიდუხჭირეში მყოფ თანამოქალაქეებს დახმარების ხელი გავუწოდოთ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და სრულიად ისლამურ სამყაროს, განსაკუთრებით კი საქართველოში მცხოვრებ ყველა მუსლიმს მივულოცო ყურბან-ბაირამი! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, რწმენის სიმტკიცესა და კეთილდღეობას! ვილოცოთ და შევთხოვოთ უფალს, დასრულდეს დედამიწაზე ომები, სისხლისღვრა, ბოროტება, შუღლი და მტრობა, კაცთა შორის განმტკიცდეს სიყვარული, პატივისცემა, მიმტევებლობა და შემწყნარებლობა, მშვიდობამ დაისადგუროს ჩვენს ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში! ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა დალოცოს ჩვენი ოჯახები და ჩვენი სამშობლო! ამინ!

უკრაინა

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა შეტევა აღმოსავლეთში რამდენიმე მიმართულებით დაიწყეს, - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი „ტელეგრამის“ პირად გვერდზე წერს. „ჯარების აღმოსავლეთის დაჯგუფებამ შეტევა ერთდროულად რამდენიმე - ორეხოვო-ვასილევკის, ბახმუტის, ბოგდანოვკის, იაგოდნოეს, კლეშჩეევკის და კუდრიუმივკის მიმართულებებზე დაიწყო. ყველა მიმართულებით არის წინსვლა“, - წერს მალიარი. მისი თქმით, კუპიანსკის, ლიმანისა და მარიინკის მიმართულებით მტერი შეტევას ცდილობდა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. მალიარმა ასევე აღნიშნა, რომ სამხრეთში ყველა მიმართულებით მძიმე ბრძოლები გრძელდება.

* * *

რუსულმა ძალებმა შაბათ-კვირის განმავლობაში უკრაინის 9 ოლქი დაბომბეს, არიან დაღუპულები და დაჭრილები მშვიდობიან მოსახლეობაში, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა შაბათ-კვირას ჩერნიგოვის, სუმის, ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკის, ხარკოვის, ლუგანსკის, დონეცკის, მიკოლაივისა და ხერსონის ოლქები დაბომბეს. თავდასხმების შედეგად განადგურდა ან დაზიანდა საცხოვრებელი სახლები და სხვა შენობები, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტები. ამასთან, რუსული ძალების მიერ განხორციელებულ თავდასხმებს მსხვერპლი მოჰყვა დონეცკისა და ხერსონის ოლქებში - ერთი ადამიანი დონეცკში, ერთი კი ხერსონში დაიღუპა. არიან დაშავებულები ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკის, ხარკოვის, დონეცკისა და ხერსონის ოლქებში.

* * *

აშშ-სა და უკრაინის პრეზიდენტებმა ჯო ბაიდენმა და ვოლოდიმირ ზელენსკიმ სატელეფონო საუბრისას უკრაინაში საომარი მოქმედებების მიმდინარეობა და რუსეთში მიმდინარე პროცესები განიხილეს. „ვესაუბრე აშშ-ის პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს. პოზიტიური და შთამაგონებელი საუბარი გვქონდა, განვიხილეთ საომარი მოქმედებების მიმდინარეობა და პროცესები, რომლებიც რუსეთში მიმდინარეობს. მსოფლიომ უნდა მოახდინოს ზეწოლა რუსეთზე, სანამ საერთაშორისო წესრიგი არ აღდგება“, - დაწერა ზელენსკიმ „ტელეგრამზე“. ზელენსკიმ მადლობა გადაუხადა ბაიდენს უკრაინის მხარდაჭერისთვის, განსაკუთრებით „პატრიოტის“ სარაკეტო სისტემების მიწოდებისთვის. „მნიშვნელოვანია უკრაინის შესაძლებლობების შემდგომი გაზრდა ჩვენი ცის დასაცავად. ამ კონტექსტში მადლობა გადავუხადე მას მოიერიშე თვითმფრინავების კოალიციის მხარდაჭერისთვის“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინაში კონფლიქტის მოსაგვარებლად ოფიციალური მოლაპარაკებები შესაძლოა ივლისში გაიმართოს, - ინფორმაციას რუსული მედია გერმანულ ტელეკომპანია ARD-ზე დაყრდნობით ავრცელებს. ტელეკომპანიის ცნობით, უკრაინის საკითხზე საერთაშორისო შეხვედრა კოპენჰაგენში „მკაცრად გასაიდუმლოებული“ პირობებით, დასავლეთის ქვეყნების დიპლომატების, ასევე ბრაზილიის, ინდოეთის, ჩინეთისა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა. მანამდე Bloomberg-ი საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ შაბათ-კვირას კოპენჰაგენი უკრაინის საკითხზე შეხვედრას უმასპინძლებდა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანი, ევროკავშირის წარმომადგენლები, ელჩები სამხრეთ აფრიკიდან, ბრაზილიიდან და ინდოეთიდან, ასევე, უკრაინელი მაღალჩინოსანი.

* * *

უკრაინელმა სამხედროებმა დონეცკის ოლქის სოფელ რივნოპოლზე კონტროლი დაიბრუნეს, - ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალარსა და 31-ე ცალკეულ მექანიზებულ ბრიგადაზე დაყრდნობით ავრცელებს. უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა 22 ივნისს განაცხადა, რომ თავდაცვის ძალებმა მიაღწიეს ნაწილობრივ წარმატებას ორი მიმართულებით: რივნოპოლი-სტარომაიორსკოეს მიმართულებით დონეცკის ოლქში და ბელოგორივკა-დიბროვას მიმართულებით ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში.

* * *

გერმანიის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, უკრაინა უახლოეს კვირებში Gepard-ის 45 საზენიტო სისტემას მიიღებს. ამ ინფორმაციას Deutsche Welle ავრცელებს. უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა გერმანიისგან უკვე მიიღო 34 თვითმავალი საზენიტო სისტემა Gepard-ი. ამ საზენიტო სისტემას უკრაინელები განსაკუთრებით ეფექტურად ირანული დრონების წინააღმდეგ იყენებენ. ასევე, წელს უკრაინა დამატებით ორ საჰაერო თავდაცვის სისტემა IRIS-T-ს მიიღებს, კიდევ ოთხს - გაისად. გერმანიის თავდაცვის სამინისტროსთან არსებული უკრაინის სიტუაციური ცენტრის ხელმძღვანელმა, ბრიგადის გენერალმა კრისტიან ფროიდინგმა განაცხადა, რომ საჰაერო თავდაცვა უკრაინის არმიის ამჟამინდელი კონტრშეტევის მთავარი სუსტი წერტილია. ფრეიდინგმა აღნიშნა, რომ უკრაინაში IRIS-T-ს ეფექტურობა „თითქმის 100%-ია“. უკრაინამ გერმანიისგან უკვე მიიღო ორი ასეთი სისტემა. „წელს უკრაინა კიდევ ორ სისტემას მიიღებს, 2024 წელს კიდევ ოთხს“, - თქვა ფროიდინგმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

უანგარო დონაციის აქცია

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

აჭარის მთიანეთის საჯარო მოხელეების, საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით სისხლის უანგარო დონაციის აქციები გრძელდება

ხულოსა და შუახევის შემდეგ, ქედის კულტურის ცენტრის შენობაში, სისხლის უანგარო დონაციის აქცია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ქედის ადგილობრივი ფილიალის ორგანიზებით და სისხლის ბანკ „ჰემა 2012“-თან თანამშრომლობით გაიმართა. დონაციის აქციაში ქედის თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ჩაერთნენ. ერთი დღის განმავლობაში სისხლი 75-ზე მეტმა დონორმა გაიღო.

ვეტერანები და სპორტი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში ღია პირველობა ჩატარდა ბადმინტონში ვეტერანთა შორის

ქალებში ნინო აბაშიძემ გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში შარშანდელ ჩემპიონ ნატალია მიხაილიცკაიას მოუგო. მესამე ადგილზე ტურნირის დებიუტანტი მთვარისა ბაბილოძე გავიდა. საინტერესო გამოდგა მამაკაცთა ტურნირი, რომელშიც სტანისლავ სიუკომ გაიმარჯვა. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ჭიდაობა სამბოში მსოფლიო პრიზიორმა ვეტერანთა შორის ოთარ დოჭვირმა და შარშანდელმა გამარჯვებულმა ოლეგ ტროფიმოვმა.

ღონისძიებას აჭარის ვეტერანთა სპორტის პრეზიდენტი შალვა ტაბაღუა უძღვებოდა.

ინდმეწარმეები... რუსეთიდან

პარლამენტის წევრ რომან გოცირიძის სადეპუტატო კითხვის პასუხად იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ბოლო წელიწადნახევარში ინდმეწარმედ რუსეთის 20 691 მოქალაქე დარეგისტრირდა. კერძოდ, 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა რუსეთის ფედერაციის 14 506 მოქალაქე, წელს კი, 1-ლი იანვრიდან 5 ივნისამდე პერიოდისთვის, საქართველოში ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციის 6 185 მოქალაქე.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინაწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/06/23, 21 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

საერთაშორისო ტურნირი - კრივში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმში ოთხ დღეს მიმდინარეობდა წარსულში ცნობილი მოკრივის, აჭარის კრივის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის ირაკლი აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივში. ტურნირი პირველად ჩატარდა მოსწავლე (13-14 წლამდე) და ჭაბუკ მოკრივეთა (15-16 წლამდე) შორის და ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპი გახლდათ ამ ასაკში ევროპის ჩემპიონატის წინ

შეჯიბრებაში საქართველოს ყველა უძლიერესი მოკრივე და ნაკრები, ასევე, უკრაინის, თურქეთის, ესტონეთის და აზერბაიჯანის გუნდები მონაწილეობდნენ. ბათუმში სულ 130 მოკრივე ჩამოვიდა. საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლები გაიმართა არა მხოლოდ ფინალში, არამედ მესამე და მეოთხე ადგილებისთვის. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო სინგაპურელი, საერთაშორისო კრივის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი, მსოფლიო კვალიფიკაციის სამვარსკვლავიანი მსაჯი სტივენ ნარაიდხა, რომელმაც ტურნირს მაღალი შეფასება მისცა. სწორედ ის დაეხმარა ორგანიზატორებს შეჯიბრების ახალი წესებით ჩატარებაში.

აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტ გოჩა აბაშიძის თქმით, ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა. სასიხარულოა, რომ კარგად გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები. მანვე აღნიშნა, რომ ტურნირი გახდება ტრადიციული, რადგან ბათუმში საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობისთვის ყველა პირობაა, თანაც ძლიერი სპორტსმენებიც გვყავს.

- ჩემთვის პატივია, რომ აქ, როგორც ტექნიკური დელეგატი და მთავარი მსაჯი, ვიმყოფები. ძალიან კარგადაა ორგანიზებული ტურნირი. მოკრივეების დონე საკმაოდ მაღალია. ბევრია ისეთი სპორტსმენი, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. დარწმუნებული ვარ, საქართველოში ეს ერთ-ერთი საუკეთესო საერთაშორისო ტურნირი იქნება. მადლობა მინდა გადავუხადო აჭარის კრივის ფედერაციას, რომელიც ასე ზრუნავს სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის. მადლობა ბათუმს, მთელ საქართველოს. ეს არ იყო ადგილობრივი დონის ტურნირი, იგი უტოლდება ოლიმპიურ თამაშებს. აქ ძალიან გულთბილად დაგვხვდნენ, მადლობა თქვენ, - თქვა „აჭარასთან“ სტივენ ნარაიდხამ.

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია სპორტის ყველა სახეობის განვითარება. გვაქვს წარმატებული და პოპულარული სპორტული სახეობები, რაც, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ის სახეობებიც, რომელშიც უკვე გვყავს მედალოსნები, ჩემპიონები. ასეთია კრივი. მადლობა კრივის ყველა მოყვარულს, იმათ, ვინც დღევანდელი ღონისძიება დაგეგმა. მომავალ წელს ამ საერთაშორისო მასშტაბის ტურნირზე კიდევ უფრო მეტი ქვეყანა, მეტი სპორტსმენი იქნება წარმოდგენილი, თუმცა წლევანდელი ტურნირიც საკმაოდ წარმატებული იყო, - აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

აჭარაში კრივის განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვს „ტექტო ჯგუფს“, მის დამფუძნებელ ერეკლე ქაჯაიას, რომელიც მანამდე აქ გამართულ საქართველოს ჩემპიონატსაც დაუდგა გვერდით და ამჟამად გამართულ ტურნირსაც. როგორც მან აღნიშნა, სამომავლოდაც აპირებენ ახალგაზრდების მხარდაჭერას.

კმაყოფილი იყო ჩვენი მოკრივეების შედეგებით აჭარის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გელა აბაშიძე. 16 წონითი კატეგორიიდან ჩვენებმა ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. საბა პაპაძემ დაამარცხა აზერბაიჯანელი რაულ ჯაფაროვი და 66 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა, ზაურ ბაბაშოვი (85 კგ) ზესტაფონელ მოკრივეს დაუპირისპირდა და მოუგო... ვინც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მოხვდება, ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება, რომელსაც აგვისტოში სლოვენია უმასპინძლებს.

- ამ ტურნირისთვის კარგად მოვემზადე და შევეცადე, ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად მეჩვენებინა. ფინალში ძლიერი მეტოქე შემხვდა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატზეც მოვუგე მას და ახლაც, - გვითხრა ზაურ ბაბაშოვმა.

როგორც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა, საქართველოს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე ზურაბ ტიბუამ გვითხრა, ეს იყო საქართველოში ჩატარებული ერთ-ერთი საუკეთესო, ძალიან მაღალ დონეზე ორგანიზებული ტურნირი, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის აჭარის მთავრობას, აჭარის კრივის ფედერაციას, კომპანია „ტექტო ჯგუფს“, რომელთა უდიდესი მხარდაჭერით ჩატარდა ეს ასპარეზობა. ტურნირი მომავალი წლიდან ტრადიციული გახდება და უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს.

ბორჯომიდან - მედლებით

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ბორჯომში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ასპარეზობაში ხულოელი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ და 8 წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილებიც დაიკავეს. 38 და 48 კგ წონით კატეგორიებში საბა და ჯაბა ბოლქვაძეები პირველ ადგილზე გავიდნენ, 26 და 63 კგ წონით კატეგორიებში ლუკა სოლომონიძე და ბექა ჯოყილაძე - მეორეზე, 29, 42, 63 და 75 კგ წონით კატეგორიებში ბექა, ვალერი ცეცხლაძეები, ნიკა შავაძე და ნიკოლოზ მახარაძე კი მესამეზე. ჭაბუკების ეს წარმატება მათი მწვრთნელების ავთანდილ აბულაძის, მალხაზ სოლომონიძისა და გრიგოლ შანთაძის დამსახურებაა.



საქართველოს ჩემპიონატი - ჭადრაკში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში 10, 14, 18 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში ჭაბუკებსა და გოგონებს შორის, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად წარიმართა

სულ ჩემპიონატში 160 მოჭადრაკე ასპარეზობდა, აქედან 10 - აჭარის წარმომადგენელი.

14 წლამდე გოგონათა შორის წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რეგიონის მოჭადრაკეები - ქობულეთელმა ლულუ დიასამიძემ (მწვრთნელი - საერთაშორისო დიდოსტატი გიგა ყუფარაძე) და ბათუმელმა მარიამ კალანდაძემ (მწვრთნელი - თენგიზ დიდმანიძე) ერთნაირი ქულა - 9-დან 6,5 დააგროვეს და მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს, მაგრამ დამატებითი კოეფიციენტით მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი ლულუ დიასამიძემ დაისაკუთრა, ევროპის ჩემპიონატის საგზურიც მანვე მოიპოვა.